


K 4232
1

7
17.11.68
2025.11.03



ფ. 80 კ.

ს. გ.



K 4.232
1

კ ა ნ ო ნ ი

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ



Handwritten signature

1 9 3 2

ს ა ნ ე ლ ე ვ ი ი ფ რ ბ ა მ რ მ ც ე მ ლ ო რ ბ ა
ტფილისი

335 (12):39



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კანონი

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ

მეხსორებები და დამატებებით 1932 იანვრამდე

R4.232
1

<p>გ.პ.ბ. ვ. შიკრ.</p> <p>ო.ბ. 1932 წ.</p> <p>აღწ. № 126</p>	<p>M</p>
--	----------

1932

სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი





სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო
 კავშირი

საბელგამის 1-ლი სტამბა.
 პლენანოვის პროსპ. № 91.
 შეკვ. № 165 მთავ. № 329.
 ტირაჟი 2000

სკკვ-2000
 შემოწმებულია

128.117. 12.12. 2000

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

423. სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ახალი რედაქციით დამტკიცებული კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ შემოღებულ იქნეს სამოქმედოთ 1930 წლის აგვისტოს 15-დან.

II. გაუქმდეს:

ა) ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 8 აგვისტოს დადგენილება — სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის სამოქმედოთ შემოღების შესახებ (ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. 1928 წ. № — 51, მუხ. 448) და კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ 1928 წლის 8 აგვისტოს რედაქციით (ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ.

1928 წ. № — 51, მუხ. 449 და 1930 წ. № — 30, მუხ. 334)

ბ) ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 3 მაისის დადგენილება — ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურთა ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის შესახებ შეკრებაზე გამოუცხადებლობის და თვითნებით წასვლის ზოგიერთი შემთხვევებისათვის (ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. 1929 წ. № — 33, მუხ. 291).

III. დაწესდეს, რომ ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ქვედა ორგანოების მოწყობამდე საოლქო სამხედრო კომისარიატები და მათთან არსებული გამწვევი კომისიები განაგრძობენ მოქმედებას წინანდელ საფუძველზე, თანახმად სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონისა 1928 წლის 8 აგვისტოს რედაქციით.

IV. დაევალოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს ს. ს. რ. კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დაინტერესებულ სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, განსაზღვროს წესი უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების და ტექნიკუმების მოსწავლეთა უმაღლეს წვევამდე მომზადებიდან ამ მოსწავლეთა უმაღლეს ჯარისგარეშე მომზადებაზე გადასვლის შესახებ.

V. დაევალოს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან და მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით განსაზ-

ღვროს გადასვლის წესი იმ პირობით მიმართ, რომელიც რედაქციის მიერ დადგინდა. რედაქციის იქნებთან ზურგის ლაშქარში 1930 წლის 15 — აგვისტომდე, სპეციალური სამხედრო გადასახადით დაბეგვრიდან — სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონით 1928 წ. აგვისტოს 8 რედაქციაში — საზოგადო სასარგებლო სამუშაოებზე მათ გამოსაყენებლად ან სპეციალური სამხედრო გადასახადით დაბეგვრაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციის მიხედვით.

VI. 1930 წლის აპრილის 23 შეღავათების კოდექსში მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო — ვალდებულთა და მათი ოჯახებისთვის (ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. 1930 წ. № — 23, მუხ. 253) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-34 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„34. მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც შედიან მოხალისეთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგის შედგენილობის ვადიან სამსახურში, დამჭირავებელმა უნდა დაითხოვოს მათი განცხადებისამებრ და მისცეს მათ ერთდროული დახმარება საშუალო ხელფასის რაოდენობით თორმეტი სამუშაო დღისათვის.

სამხედრო სკოლებში შემსვლელ მუშებს და მოსამსახურეებს ენახებათ დაჭერილი თანამდებობა და საშუალო ხელფასი მთელი იმ დროისთვის, რომელიც საჭიროა სკოლაში გამოცხადებისათვის და მისაღები გამოცდის ჩასაბარებლად. სამხედრო სკოლაში მიღებულს დამჭირავებე-

ლი დაითხოვს მისი განცხადების თანახმად ერთდროულად დახმარების მიცემით თვიური საშუალო ხელფასის რაოდენობით. ამ დახმარების ანგარიშში ჩაითვლება ის სამუშაო ხელფასიც, რომელიც მას ენახებოდა სკოლაში გამოცხადებისა და მისაღებ გამოცდების ჩაბარების დროისათვის.

მაგრამ მუშებს და მოსამსახურეებს სასეზონო და სააღმშენებლო სამუშაოებზე, შინ მომუშავეებს, ინდივიდუალური შრომის საგლეხო მეურნეობის მუშებს (მოჯამაგირეს), თუ მათ იმუშავეს არა უმეტეს ექვსი სამუშაო დღისა, ერთდროული დახმარება, გათვალისწინებული ამ მუხლში, არ მიეცემათ. თუ მათ იმუშავეს ექვსი სამუშაო დღეზე მეტი ერთ თვემდე, ერთდროული დახმარება მიეცემა საშუალო ხელფასის რაოდენობით სამი სამუშაო დღისათვის, ხოლო თუ მათ იმუშავეს ერთ თვეზე მეტი ექვს თვემდე — მიეცემათ ერთდროული დახმარება ექვსი სამუშაო დღისათვის.

დროებითი მუშებს და მოსამსახურეებს თანამდებობა და ხელფასი არ ენახებათ სამხედრო სკოლაში გამოცხადებისა და მისაღები გამოცდების ჩასაბარებელი დროისათვის. მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრებში რიგის შედგენილობის ვადიან სამსახურზე (მათ შორის სამხედრო სკოლებში) მოხალისეთ შესვლისას ერთდროული დახმარება მიეცემათ იმავე რაოდენობით, როგორც სასეზონო სამუშაოებზე მყოფთ“.



ბ) მე-43 მუხ. დაემატოს ნაწილი მესამე შემდეგ ნაარსის.

„მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც გადიან წვევამდე მომზადების ნაცვლათ სამხედრო სწავლებას ტერიტორიალურ ნაწილებში სამსახურის პირველ წელს, ენახებათ დაჭერილი თანამდებობა და საშუალო ხელფასი ამ სწავლების მთელი დროის განმავლობაში“.

გ) დაემატოს კოდექსის მუხლებს მუხ. 46¹ შემდეგი შინაარსით:

„46¹. მუშებს და მოსამსახურეებს, რომელნიც გადიან სამოსწავლო შეკრებას სამხედრო საწარმოო სამსახურის მიხედვით, შეკრების დროს ენახებათ დაჭერილი თანამდებობა მუდმივი მუშაობის ადგილას.

თუ სამუშაო ხელფასი, რომელსაც ეს მუშები და მოსამსახურენი იღებენ სამრეწველო საწარმოში, სადაც მიმდინარეობს შეკრება, უფრო ნაკლებია, ვინემ საშუალო ხელფასი მუდმივი სამსახურის ადგილას, მაშინ განსხვავებას გადაიხდის ის საწარმო ან დაწესებულება, რომელშიდაც ისინი მუდმივით მუშაობენ“.

დ) დაემატოს კოდექსის მუხლებს მუხ. 53¹ შემდეგი შინაარსით:

„53¹. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურენი გადიან შეკრებას „ოსოავიახიმის“ ორგანიზაციებთან, მათ ენახებათ თავიანთი საშუალო ხელფასი სამხედრო სწავლების დღეებისა და საათებისათვის.

მუშებს და მოსამსახურეებს, რომელნიც სავალდებულო ან მოხალისეთ გაწვეული არიან როგორც ინსტრუქტორები ამ შეკრების ჩასატარებლად, ენახებათ აგრეთვე თავიანთი საშუალო ხელფასი.

ამ შეკრებათა გავლისა და ჩატარების პერიოდში მუშები და მოსამსახურეები არ შეიძლება დათხოვნილ იქნენ შტატების შემცირების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უქმდება დაქვრილი თანამდებობა, ამასთან თუ არის რამოდენიმე ერთნაირი თანამდებობა, რომელთაგან უქმდება მხოლოდ ნაწილი, დათხოვნა ასეთ თანამდებობიდან დაიშვება მხოლოდ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის წინასწარი გადაწყვეტილებით. შტატების შემოკლების გამო უფროსთა შემადგენლობის პირთა (უმცროსის გარდა) დასათხოვნათ ან ნაკლებ ხელფასიან თანამდებობაზე გადასაყვანათ საჭიროა, გარდა ამისა, ყველა შემთხვევაში, სამპროცენტიანი ჯავშნის ანგარიშში სამუშაოზე გამგზავნი ადგილობრივი კომისიისა ან შრომის ადგილობრივი ორგანოს თანხმობა“.

ე) მუხ. 73 მიღებულ გამოითქვას შემდეგი რედაქციით:

„73. იმ შემთხვევაში, როდესაც ცხენოსანი ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურნი გაიწვევიან სამხედრო სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან სამოსწავლო შეკრებებზე საკუთარი ცხენით ან კოლმეურნეობების ცხენებით — ეს ცხენები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან“.



VII. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადების
 1930 წ. 20 თებერვლის დებულების მე-73 მუხ. (ს. ს. რ.
 კავშირის კან. კრებ. 1930 წ. № — 13, მუხ. 144) მიღებული
 გამოითქვას შემდეგი რედაქციით:

„73. იმ შემთხვევაში, როდესაც ცხენოსანი ტერიტო-
 რიალური ნაწილების ცვალებადი შემადგენლობის სამხედ-
 რო მსახურნი, გაიწვევიან სამხედრო სწავლებაზე სამსა-
 ხურის პირველ წელიწადს ან სამოსწავლო შეკრებებზე სა-
 კუთარი ან კოლმეურნეობების ცხენით — ეს ცხენები გა-
 დასახადისაგან განთავისუფლდება“.

VIII. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები 1927 წლის
 25 თებერვლის დებულებაში სახელმწიფო დანაშაულის
 (კონტრრევოლიუციონური და ს. ს. რ. კავშირისათვის გან-
 საკუთრებულ საშიშ მართველობის წესის წინააღმდეგი
 დანაშაულის) შესახებ (ს. ს. რ. კავშირის კან. კრ. 1927 წ.
 № — 12, მუხ. 123).

1) მე-18 მუხ. გამოითქვას შემდეგი რედაქციით:

„18. თავის არიდება სამდვილი სამხედრო სამსახურის
 მორიგი გაწვევისაგან გამოიწვევს იძულებითი მუშაობას
 ერთ წლამდე.“

თავის არიდება ნამდვილი სამხედრო სამსახურში მო-
 რიგი გაწვევისაგან დამამძიმებელ გარემოებათა გამო, კერ-
 ძოთ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით, ავადმყოფო-
 ბის სიმულიაციით საბუთში სიყალბის შეტანით, თანამდე-
 ბობის პირის მოსყიდვით, და სხვ., ან სარწმუნოებრივი სა-

ბაბით — გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას
წლამდე“.

2) მე-19 მუხ. გამოითქვას შემდეგი რედაქციით:

„19. ზურგისა და ფრონტის მომსახურეობის გუნდებში
გაწვევისაგან იმ პირთა თავის არიდება, რომლებიც სავალ-
დებულო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულნი
იყვნენ სარწმუნოებრივი საბაბით და რომლებიც ჩარაც-
ხული იყვნენ ზურგის ლაშქარში — გამოიწვევს თავისუფ-
ლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა.

IX. სამხედრო დანაშაულთა 1927 წ. ივლისის დებუ-
ლებაში (ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № — 50,
მუხ. 505) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1) მე-10 მუხ. გამოითქვას შემდეგი რედაქციით:

10 ა) თავის დროზე გამოუცხადებლობა სამსახურში არა
საპატიო მიზეზით, დანიშვნის, გადაყვანის, მივლინებიდან,
და აგრეთვე შვებულებიდან, — გამოიწვევს პასუხისმგებ-
ლობას 7, 8 და 9 მუხლებით დაწესებულ საფუძველზე:

ბ. არა სამხედრომსახურთა და თადარიგში მყოფ პირ-
თა სასწავლო შეკრებაზე, მანევრებზე და სხვა სასწავლო
მეცადინეობებზე, აგრეთვე საცდელ მობილიზაციით გა-
წვევაზე, თავის დროზე არა საპატიო მიზეზით გამოუცხა-
დებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას იმავე საფუ-
ძველებზე.

2) დებულებას დაემატოს მუხ. მე-10¹ შემდეგი შინა-
არსით:

„10¹. თავის არიდება მუშათა და გლეხთა წითელ ძალებში მოხილვისაგან და შემდგომი გაწვევებისაგან მუშათა და გლეხთა წითელ არმიის შესავსებათ საომარ დროის შემადგენლობაში, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო მეთაურთა შედგენილობის პირთათვის — არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ნაწილის კონფისკაციით; განსაკუთრებით დამაძიმებელ გარემოებათა დროს კი სოციალური დაცვის უმაღლეს ზომამდე აწევით — დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით“.

X. ს. ს. რ. კავშირის ყველა კანონებში, სადაც არის მითითება 1928 წლის 8 აგვისტოს კანონზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ — შეიცვალოს სათანადო მითითებით ახალი რედაქციის კანონზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

XI. ს. ს. რ. კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების მე-3 მუხ. თანახმად (ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წლის №— 12, მუხ. 122) მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს წინადადება მიეცეთ:

1) შეიტანონ სისხლის სამართლის კოდექსში საჭირო ცვლილებები ამა დადგენილების მე-8 და 9 კარებთან შეფარდებით.

2) სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანონ სპეციალური მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის მი-



ხედვით განთავისუფლებულ პირთა და ზურგის ლაშქარში
ში ჩარიცხულ პირთა თავის არიდებას, მათთვის დანიშ-
ნულ საერთო სასარგებლო სამუშაოთა შესრულებისაგან.
ს. ს. რ. კავშირის ცაკის თავმჯდომარე — მ. კალინინი.
ს. ს. რ. კავშირის ს. კ. ს. თავმჯდომარე — ა. ი. რიკოვი.
ს. ს. რ. კავშირის ცაკის მდივანი — ა. ენუქიძე.

მოსკოვი — კრემლი.
1930 წ. აგვისტოს 13.
№ — 42 1253-ა.

კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ

კ ა რ ი 1.

ძირითადი დებულებანი

1. სსრ კავშირის დაცვა შეადგენს სსრ კავშირის ყველა მოქალაქის მოვალეობას.

სსრ კავშირის თავდაცვას იარაღით ხელში ანხორციელებენ მხოლოდ მშრომელნი.

არა მშრომელ ელემენტებს დაეკისრებათ სხვა მოვალეობათა შესრულება სსრ კავშირის თავდაცვის მომსახურებაზე.

2. მშრომელთა შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმია.

მუშურ-გლეხური წითელი არმია იყოფა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებად.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ჯარები:

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველო
ლოს და საბადრაგო ჯარები.

3. მშრომელთა სამხედრო საქმის შესწავლის და მუ-
შურ-გლეხური წითელი არმიის შევსების მიზნით წესდება
მშრომელთა მამრობითი სქესისათვის საყოველთაო სა-
ვალდებულო სამხედრო სამსახური.

სავალდებულო სამხედრო სამსახური შესდგება:

- ა) წვევამდე მომზადებისაგან;
- ბ) ნამდვილი სამხედრო სამსახურისაგან;
- გ) თადარიგში ყოფნისაგან.

4. მოქალაქენი, რომლებიც იმყოფებიან ნამდვილ სამ-
ხედრო სამსახურში, ითვლებიან სამხედრომსახურათ და
ატარებენ წითელ არმიელის (წითელფოტელის) საპატიო
წოდებას. ისინი სდებენ საზეიმო აღთქმას საამისოთ და-
წესებულ ფორმით.

მოქალაქენი, რომლებიც გადიან წვევამდე მომზადე-
ბას (წვევამდელნი) და თადარიგში მყოფნი (თადარიგელ-
ნი) ითვლებიან სამხედროვალდებულ პირებად.

5. ყველა სამხედრომსახურნი და თადარიგელნი განი-
ყოფებიან რიგის შემადგენლობათ და უფროსთა შემად-
გენლობათ.

6. უფროსთა შემადგენლობა ანხორციელებს მშრო-
მელთა საბრძოლო და სამხედრო-პოლიტიკურ მომზადე-
ბას და ჯარის ნაწილების და ჯარის შენაერთების ხელ-
მძღვანელობას.



უფროსთა შემადგენლობა სამსახურის სახისდა მდგომარეობით იყოფა: მეთაურთა, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, სამედიცინო და სავეტერინარო შემადგენლობათ, ხოლო მომზადების ხარისხის მიხედვით: უმცროს, საშუალო, უფროს და უმაღლეს შემადგენლობათ და სამსახურობრივი კატეგორიებათ.

სამსახურებრივი კატეგორიების რიცხვი, უმცროს, საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის მათი შეფარდება, სამსახურებრივი კატეგორიების უფროს შემადგენლობის სამხედრო მსახურთათვის მიკუთვნების წესი და აგრეთვე სამსახურებრივი კატეგორიებსა და თანამდებობათა შორის დამოკიდებულება წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

7. საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენლობა შეივსება იმ სამხედრო მსახურთაგან, რომლებმაც მიიღეს საშუალო ან უმაღლესი სამხედრო განათლება და აგრეთვე იმ პირებისაგან, რომლებსაც აქვთ სპეციალური განათლება ან შესაფერი საბრძოლო ან სამსახურებრივი სტაჟი.

8. უმცროსი უფროსთა შემადგენლობა იყოფა ვადიან სამსახურის შემადგენლობათ და ზედმეტ ვადიან სამსახურის შემადგენლობათ.

ვადით მსახური უმცროსი უფროსთა შემადგენლობა ივსება კადრში განუწყვეტელ სამსახურში მყოფ რიგის



შემადგენლობის სამხედრო მსახურთაგან, რომლებმაც შეასრულეს სათანადო მომზადება.

ზედმეტ ვადიან სამსახურის უმცროსი უფროსთა შემადგენლობა ივსება უმცროს უფროსთა შემადგენლობის იმ პირებისაგან, რომლებმაც გაიარეს განუწყვეტელი სამსახური კადრში.

9. წვევამდე მომზადებაზე გაიწვევიან მოქალაქენი, მე-28 მუხ. აღნიშნულის გარდა, ცხრამეტი წლის მიღწევის შემდეგ.

10. რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურთა ნამდვილი სამხედრო სამსახური მშვიდობიანობის დროს გრძელდება ხუთი წელი.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მშრომელები გაიწვევიან გაწვევის წლის 1-ლ იანვრისათვის 21 წლის შესრულებისას.

გაწვეული ჩაითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფად გამწვევ კომისიის მიერ მიღების დღიდან.

ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გამოიანგარიშება იმ წლის 1-ლ იანვრიდან, რომელიც მოსდევს გაწვევის წელს.

11. საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთა ნამდვილი სამხედრო სამსახური მშვიდობიანობის დროს გრძელდება მათი განსაზღვრულ პასაკის მიღწევამდე:

ა) საშუალო უფროსთა შემადგენლობისათვის — ორმოც წლამდე;

ბ) უფროს უფროსთა შემადგენლობისათვის — ორ-
მოცდახუთ წლამდე;

გ) უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის — ორ-
მოცდაათ წლამდე.

12. რიგის შემადგენლობის ნამდვილი სამხედროსამსა-
ხური მშვიდობიანობის დროს გავლილი იქნება:

ა) კადრში, ან

ბ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემა-
დგენლობაში, ან

გ) ჯარის გარეშე წესით.

13. ნამდვილი სამხედრო სამსახური კადრში შესდგება:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებში გა-
ნუწყვეტელ (ვადიან) სამსახურისაგან;

ბ) გრძელვადიან შვებულებაში ყოფნისაგან;

გ) გრძელვადიან შვებულებაში ყოფნის დროს სამოს-
წავლო შეკრებისაგან.

შენიშვნა: სამხედრო სკოლაში სწავლება ითვ-
ლება ვადიან სამსახურად კადრში.

14. ნამდვილი სამხედრო სამსახური ტერიტორიალუ-
რი ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში შესდგება:

ა) სამსახურის პირველ წელს სამი თვის სწავლებისა-
გან;

ბ) სამოსწავლო შეკრებისაგან;

გ) ნამდვილი სამხედრო სამსახურის მთელი დანარჩენი
დროის განმავლობაში შვებულებაში ყოფნისაგან.



15. ნამდვილი სამხედრო სამსახური, რომელიც
დება ჯარის გარეშე წესით, შესდგება:

ა) სამოსწავლო შეკრებებისაგან;

ბ) ნამდვილი სამხედრო სამსახურის მთელი დანარჩენ
დროის განმავლობაში შევებულებაში ყოფნისაგან.

(16 — მუხლი ამოშლილია სსრკ კან. კრებ. 1931 წ.,
№ 50, მუხ. 331).

17. ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადათ
არ ჩაითვლება:

ა) დრო, სამხედრომსახურის მიერ გატარებული თავი
სუფლების აღკვეთის ადგილას სასამართლოს განაჩენით
და აგრეთვე დრო წინასწარ პატიმრობის იმ საქმეზე, რომ-
მელზედაც გამოტანილია გამამტყუვნებელი განაჩენი;

ბ) სამხედრომსახურის ნაწილიდან თვითნებით გან-
შორების დრო.

შენიშვნა: იმ სამხედრომსახურთა მიმართ, რომ-
ლებიც სამსახურს ვადიან კადრში, ამ მუხლში აღ-
ნიშნული დრო არ ჩაითვლებათ ვადიან სამსახურში.

18. ნამდვილი სამხედრო სამსახურის შესრულების შე-
მდეგ სამხედრომსახურნი დათხოვნილი იქნებიან თაღა-
რიგში.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარია-
ტის განკარგულებით სამხედრომსახურნი შეიძლება და-
თხოვნილ იქნან თაღარიგში, ნამდვილ სამხედრო სამსა-
ხურის ვადის გასვლამდეც.

მოქალაქენი, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო ათი წლის ჰასაკის მიღწევამდე არ იყვნენ გაწვეულნი ნამდვილ სამხედრო სამსახურში, შეიძლება დათხოვნილი იქნან თადარიგში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ნამდვილი სამხედრო სამსახურის გაუვლელადაც.

19. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს უფლება აქვს სსრ კავშირის თავდაცვის და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საზოგადოების კავშირის ცენტრალურ საბჭოსთან — „ოსოავიაქიმ“-თან შეთანხმებით შემოიღოს „ოსოავიაქიმის“ — ორგანიზაციებთან სამხედრომსახურთა და სამხედრო ვალდებულთათვის როგორც ინსტრუქტორების, ამ კანონით დაწესებულ სამოსწავლო შეკრებების გავლა და ამ შეკრებების ჩატარება.

20. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს ყველა სამხედრომსახურნი და სამხედრო ვალდებულნი იმყოფებიან ან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ან მის რიგებს გარეშე.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფად ითვლებიან:

- ა) წვევამდელნი — სამოსწავლო შეკრების დროს;
- ბ) საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი — ვადიან სამსახურის და სამოსწავლო შეკრების დროს;
- გ) სამხედრო სკოლების კურსანტები — ამ სკოლებში სწავლების მთელი დროის განმავლობაში;

დ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი — სამი თვის სწავლების დროს სამსახურის პირველ წელს და სამოსწავლო შეკრების დროს და აგრეთვე ცალკე სამხედრო დავალებათა და მიცემულობათა შესასრულებლად გაწვევის დროს შეკრებათაშორისო პერიოდში და ნაწილის შემადგენლობაში გაწვევის სხვა შემთხვევებშიც;

ე) რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით — სამოსწავლო შეკრებულების დროს;

(ვ. პ. ამოშლილია სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

ზ) რიგის შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, რომელნიც გადიან უმაღლეს ჯარის გარეშე სწავლებას — სამოსწავლო შეკრების დროს;

თ) რიგის შემადგენლობის თადარიგელნი, — სამოსწავლო შეკრების დროს;

ი) რიგისა და უმცროს უფროსთა შემადგენლობის ზედმეტ ვადით მსახურნი — ზედმეტ ვადიან სამსახურის მთელი დროის განმავლობაში;

კ) კადრში და მარჩაფში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, — მუშურ-გლახური წითელი არმიის კადრებში და მარჩაფში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში;

ლ) გრძელვადიან სწავლებაში მყოფნი საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედ-



რომსახურნი, სამოსწავლო შეკრების, მანევრების და სამოსწავლო მეცადინეობის დროს;

მ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის საშვალთ, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი — სამოსწავლო შეკრებების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობების დროს, და აგრეთვე მათი შეკრებათა შორის პერიოდებში ცალკე სამხედრო დავალებათა და მიცემულობათა შესასრულებლად გაწვევის დროს და ნაწილის შემადგენლობაში მათი გაწვევის სხვა შემთხვევებშიც;

ნ) საშვალთ, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის თადარიგელნი — სამოსწავლო შეკრებების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობების დროს;

ო) უმცროს, საშვალთ, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი და თადარიგელნი — როგორც ინსტრუქტორები წვევამდე ან ჯარის გარეშე მომზადების ჩატარების დროს;

პ) საცდელ მობილიზაციით გამოწვეულნი სამხედრო მსახურნი და თადარიგელნი — ასეთ მობილიზაციის მთელი დროის განმავლობაში;

ჟ) მობილიზაციით და შემდეგი გაწვევებით მუშურ-გლებური წითელი არმიის ომიანობის დროის შემადგენლობის შესავსებათ გამოწვეულნი სამხედრომსახურნი და თადარიგელნი — მუშურ-გლებური წითელი არმიაში სამსახურის მთელი დროის განმავლობაში.

შენიშვნა: სამხედრომსახურნი და სამხედრო-
ვალდებულნი, რომელნიც გადიან სამოსწავლო შე-
კრებებს „ოსოავიაქიმის“ ორგანიზაციებთან ან
ატარებენ ამ შეკრებებს როგორც ინსტრუქტორე-
ბი, ითვლებიან მუშურ-გლახური წითელი არმიის
რიგებში მყოფად მხოლოდ სამხედრო სწავლების
დღეებსა და საათებში.

21. მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგებში ყოფ-
ნის დაწყებით და დამთავრების მომენტად ითვლება:

ა) წვევამდელთათვის (მე-20 — მუხ. „ა“ პ.) — სათანადო ბრძანებებში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების პირველი და უკანასკნელი დღეები;

ბ) საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურ-
თათვის (მე-20 — მუხ. „ბ“ პ.).

1. ვადიან სამსახურის გამვლელთათვის — გამწვევ კომისიის მიერ მათი ნამდვილ სამხედროსამსახურში მიღე-
ბის დღე და ვადიან სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ მათი სათანადო სააღრიცხვო ორგანოების მიერ აღრიცხვაზე აყვანის დღე.

2. სამოსწავლო შეკრებების გამვლელთათვის — სათანადო ბრძანებაში აღნიშნული ამ შეკრებების პირველი და უკანასკნელი დღეები.

გ) სამხედრო სკოლების კურსანტებისათვის (მე-20 მუხ. „გ“ პ.) — სათანადო ბრძანებაში აღნიშნული სკოლაში მიღების დღე და სკოლიდან დათხოვნის დღე;



დ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურთათვის (მე-20 — მუხ. „დ“ პ.).

1. რომლებიც გადიან სამი თვის სწავლებას სამსახურის პირველ წელს და სამოსწავლო შეკრებებს — ამ სწავლების და შეკრებების ბრძანებაში აღნიშნული პირველი და უკანასკნელი დღეები.

2. შეკრებათაშორისო პერიოდებში ცალკე სამხედრო დავალებათა და მიცემულებათა შესასრულებლად გაწვეულთათვის და მათი ნაწილის შემადგენლობაში გაწვევის სხვა შემთხვევებში — მათ მიერ სათანადო დავალების და მიცემულების მიღების ან ნაწილის შემადგენლობაში გაწვევის მომენტი და ამ დავალების და მიცემულების შესრულების ან ნაწილიდან განთავისუფლების მომენტი.

ე) რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურთათვის, რომლებიც გადიან სამსახურს ჯარის გარეშე წესით (მე-20 მუხ. „ე“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების პირველი და უკანასკნელი დღეები;

(ვ. „პ“. ამოშლილია სსრკ. კან. კრებ. 1930 წ. № 50, მუხ. 331).

ზ) სამხედრომსახურთათვის, რომელნიც გადიან უმაღლეს ჯარის გარეშე მზადებას მე-20 მუხ. „ზ“ პ) — ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების პირველი და უკანასკნელი დღეები;

თ) რიგის შემადგენლობის თაღარგში მყოფთათვის (მე-20 მუხ. „თ“ პ.) ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების პირველი და უკანასკნელი დღეები;

ი) ზედმეტ ვადით მსახურ რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობისათვის (მე-20 მუხ. „ი“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული ზედმეტ ვადიან სამსახურში ჩარიცხვის დღე და სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ სათანადო სააღრიცხვო ორგანოს მიერ მათი აღრიცხვაზე აყვანის დღე;

კ) კადრში და მარჯაფში მყოფ საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთათვის (მე-20 მუხ. „კ“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული კადრში ან მარჯაფში ჩარიცხვის დღე და კადრიდან ან მარჯაფიდან დათხოვნის დღე;

ლ) გრძელვადიან შვებულებაში მყოფ საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთათვის (მე-20 მუხ. „ლ“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობის პირველი და უკანასკნელი დღეები;

მ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთათვის (მე-20 მუხ. „მ“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრებების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობების პირველი და უკანასკნელი დღეები, ან და მათ მიერ სათანადო დავალებათა და მიცემულებათა მიღების მომენტი ან ნაწილის შემადგენლობაში გაწვევა და ამ დავალებათა და

მიცემულებათა შესრულების ან ნაწილიდან განთავისუფლების მომენტი;

ბ) თადარიგ საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის. (მე-20 მუხ. „ნ“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული სამოსწავლო შეკრების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობების პირველი და უკანასკნელი დღეები;

გ) უმცროს, საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთა და თადარიგელთათვის, რომლებიც როგორც ინსტრუქტორები ატარებენ წვევამდე და ჯარის გარეშე მზადებას (მე-20 მუხ. „ო“ პ.) — ბრძანებაში აღნიშნული მათი ინსტრუქტორებად გამოწვევის პირველი და უკანასკნელი დღეები;

დ) საცდელ მობილიზაციით გამოწვეულ სამხედრომსახურთ და თადარიგელთათვის (მე-20 მუხ. „პ“ პ.) — მობილიზაციის შესახებ გაცემულ ბრძანებაში ნაჩვენებ ნაწილში ან შესაკრებ პუნქტზე გამოცხადების დღე და ნაწილიდან დათხოვნის დღე;

ე) მობილიზაციით და შემდეგ გაწვევებით მუშურ-გლებური წითელი არმიის ომიანობის დროის შემადგენლობის შესავსებად გამოწვეულ სამხედრომსახურთა და თადარიგელთათვის ბრძანებაში გამოცხადებული ნაწილში ან შესაკრებ პუნქტზე გამოცხადების დღე და მუშურ-გლებური წითელი არმიიდან დათხოვნის შემდეგ სათანადო სააღრიცხვო ორგანოების მიერ აღრიცხვაზე აყვანის დღე.

22. მამრობითი სქესის მშრომელებს შეუძლიათ მუშაობა დღე-ღამეობით ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოხალისედ მე-12 კარში აღნიშნულ წესების საფუძველზე.

23. მშრომელი ქალები შეიძლება მიღებულ იქნან სამხედრო სამსახურში მოხალისედ შემომსვლელ პირთა მისაღებად დაწესებულ საფუძველზე (კარი მე-12).

მშრომელი ქალები, რომელნიც სწავლობენ უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში, სადაც შემოღებულია უმაღლესი ჯარის გარეშე მზადება, გადიან სათანადო სამოსწავლო დაწესებულების სამოსწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამხედრო საქმის თეორეტიულ კურსს.

ომიანობის დროს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, მშრომელი ქალები შეიძლება გაწვეულ იქნან სამხედრო სამსახურში, სპეციალური სამსახურის გასაწევად, სავალდებულო წესითაც.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დააწესოს მშვიდობიანობის დროს იმ მშრომელ ქალთა აღრიცხვა, რომელნიც შეიძლება გაწვეულ იქნან სპეციალური სამსახურის გასაწევად ომიანობის დროს.

24. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით, უფლება აქვს:

ა) დააწესოს ცალკე ადგილების ყველა ან ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა და ცალკე ეროვნებათა მოქალაქეთათვის გადახვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის საერთო წესიდან;

ბ) როგორც დროებითი ზომა, სრულიადაც არ გაიწვიოს „ა“ პ. მოხსენებული მოქალაქენი სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად ადგილობრივი პირობების და ყოფა-ცხოვრების მიხედვით.

25. საჭირო შემთხვევებში, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, გრძელვადიან შევებულებაში მყოფი საკადრო შემადგენლობის სამხედრომსახურნი, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის შევებულებაში მყოფი სამხედრომსახურნი და სამხედრომსახურნი, რომლებიც გადიან სამსახურს ჯარის გარეშე წესით, შეიძლება გაწვეულ იქნან სამოსწავლო შეკრებებზე დაწესებულ ვადებზე მეტი ხნითაც.

26. მოქალაქენი, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, აგრეთვე რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სამოსწავლო დაწესებულებები, ტექნიკუმები, მუშათა ფაკულტეტები, მე-2 საფეხურის სკოლები (სწავლების არა ნაკლებ 9 წლის ვადით) და სხვა მათი შესაფერისი სასწავლებლები, სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან მე-10 კარში აღნიშნული გადახვევებით საერთო წესებიდან.

27. იმ მოქალაქეებს, რომელნიც ეკუთვნიან გეგმიური გეგმის კატეგორიის ტარებას, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა შეიძლება შეეცვალოთ სხვა მოვალეობათა შესრულებით მე-15 კარში დადგენილ წესებსა და საფუძველზე.

28. მე-16 კარის თანახმად, არამშრომელი ელემენტები, რომლებიც, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის თანახმად, მოკლებული არიან საბჭოებში არჩევის უფლებებით, ჩაირიცხებიან ზურგის ლაშქარში.

მე-16 კარის თანახმად, ზურგის ლაშქარში ჩაირიცხებიან მოქალაქენი, რომლებიც:

ა) მსჯავრდადებული არიან სახელმწიფო დანაშაულთა დებულების 2 — 14, 16 — 17¹, 20 — 27 მუხლებით;

ბ) სხვა, გარდა სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულნი პოლიტიკურ უფლებათა აღკვეცათ.

გ) სასამართლოს ან ადმინისტრაციულ წესით გადასახლებულნი ან გაძევებულნი;

დ) სამსახურიდან პირველ კატეგორიით გაწმენდილნი.

ზურგის ლაშქარში შეიძლება იქნან, აგრეთვე, „ბ“ კ-ში ნაჩვენებ დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პოლიტიკურ უფლებათა აღკვეცთელადაც, თუ კი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი არასასურველად სცნობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ამ მოქალაქეთა სამსახურს.

29. მუშურ-გლეხური წითელი არმიის საერთო რაოდენობა, აგრეთვე ყოველწლიურად საკადრო და ტერი-

ტორიალური ნაწილების, ჯარის გარეშე წესით სამსახურის გასაღვლელად გამოწვეულთა რიცხვი, წესდება შორის და თავდაცვის საბჭოს მიერ.

საკადრო და ტერიტორიალური ნაწილების რიცხვი და შემადგენლობა და მათი ჩამოყალიბების რაიონი, აგრეთვე ყოველწლიურად გასაწვევთა საერთო რიცხვის განაწილება სხვადასხვა სახის ჯარებსა და სამხედრო ოლქებს შორის წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მიერ.

30. მუშურ-გლეხური წითელ არმიის შევსების სხვადასხვა კატეგორიების სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა მხრივ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა აღრიცხვის წესის და აგრეთვე სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა საექიმო შემოწმების წესების და ავადმყოფობის ჩამოთვლის შესახებ დებულება წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მიერ ამ კანონის განსამარტავად.

ამ დებულებებს და წესებს ამყარებს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი:

ა) გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარების სამხედრომსახურთა მიმართ — სსრ კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

ბ) სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების და წევრების, სამხედრო პრო-



კურორების და მათი თანაშემწეების და სამხედრო გამა-
 მძიებლების მიმართ — სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს
 ლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარესთან და სსრ კავ-
 შირის უზენაეს სასამართლოს პროკურორის უფროს თანა-
 შემწესთან (სამხედრო პროკურორის ხაზით) — შეთანხმე-
 ბით, კუთვნილებისამებრ;

გ) მარქაფში მყოფ სამხედრომსახურთა მიმართ — სსრ
 კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან და სსრ კავ-
 შირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდო-
 მარესთან შეთანხმებით.

31. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და
 ადგილობრივ საბჭოებს ევალებათ ყოველგვარი დახმარე-
 ბის აღმოჩენა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კო-
 მისარიატისათვის ამა კანონის გასატარებელ ღონისძიება-
 თა განსახორციელებლად. აღმასრულებელი კომიტეტები
 და საბჭოები ღებულობენ უშუალო მონაწილეობას:

- ა) როგორც მობილიზაციის ისე მორიგი გაწვევების ჩა-
 ტარებაში და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ომიანო-
 ბის დროის შემადგენლობის შემდეგი შევსებისათვის;
- ბ) სამოსწავლო შეკრებების ჩატარებაში; ;
- გ) სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა აღ-
 რიცხვის განხორციელებაში;
- დ) მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტერიტორიალუ-
 რი მშენებლობის ღონისძიების განხორციელებაში.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონ-
 მდებლობით დადგენილ წესისამებრ, ადგილობრივ აღმა-



სრულეხელ კომიტეტებს და ადგილობრივ საბჭოებს ვაკის რაიონის რეზოლუციის საფუძველზე დადგინდა, რომ აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიის წინააღმდეგობის მატერიალური და სამხედროვალდებულთა პოლიტიკური და კულტურული ღონის ამალღების ღონისძიებათა გატარება.

32. როდესაც ამ კანონში ლაპარაკია მუშურ-გლეხური წითელი არმიის „წინააღმდეგობაში მიღებულია აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიის „დაწესებულებანი და წამოწყებანი“, მათ შორის სამხედრო სკოლები და სამხედრო აკადემიები.

როდესაც ამ კანონში ლაპარაკია რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურთა და თადარიგთა შესახებ, მხედველობაში მიღებულია აგრეთვე „ვადიან სამსახურის უმცროს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი და უმცროს უფროსთა შემადგენლობის თადარიგელნი“, თუ არ არის განსაკუთრებული შენიშვნა.

როდესაც ამ კანონში ლაპარაკია „სამხედრო ოლქების“ შესახებ, მხედველობაში მიღებულია აგრეთვე „ცალკე არმიები“.

კ ა რ ი II.

წვევამდე მომზადება

33. წვევამდე მომზადება მიზნათ ისახავს მშრომელ ახალგაზრდობის სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკურ და ფიზიკურ მზადებას.

ეს მომზადება ხორციელდება სამოსწავლო შეკრებებზე საერთო ხანგრძლივობით ორი სამოსწავლო თვის განმავლობაში.

34. წვევამდელების სამოსწავლო შეკრება ტარდება წვევამდელების საცხოვრებელ რაიონების სამოსწავლო პუნქტებში.

სამოსწავლო პუნქტები მუშათა ფაკულტეტებზე, მე-2 საფეხურის სკოლებში (სწავლების ვადის არა ნაკლებ 9 წლისა) და სხვა მათ შესაფერ სასწავლებლებში, სამოსწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის ეწყობა სამოსწავლო დაწესებულებებთან შეძლებისდაგვარად მიახლოებით.

35. რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის მუშაკნი და კავშირგაბმულობის მუშაკნი გადიან წვევამდე მომზადებას საერთო წესით, იმ გამოჩაკლისით, რაც დაწესებულია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, კუთვნილებისამებრ.

36. სამოსწავლო შეკრებების წინ წვევამდელები, გატარებული იქნებიან საექიმო შემოწმებაში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ვარგისნი არიან ისინი ამ შეკრებების გასაგლეხად.

წვევამდელების საექიმო შემოწმება ხდება სამოსწავლო წერტებზე კომისიების მიერ შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარე — ადგილობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოს წარმომადგენელი, წევრები — ადგილობრივ აღ-

მასრულებელ კომიტეტის ან ადგილობრივ საბჭოს წარმომადგენელი და ექიმი.

37. წვევამდებლები, რომელნიც გასინჯვის დროს აღმოჩნდნენ აშკარა უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის ფიზიკური ნაკლის გამო, სრულებით თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან და ამოირიცხებიან სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვიდან.

38. წვევამდებლების სამოსწავლო შეკრებებზე გაწვევის დროს შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით არ მიეცემათ. ადგილობრივ სამხედრო სამმართველოების ორგანოებს საჭიროების შემთხვევებში, შეუძლიათ თვითთულ წვევამდელს ან ჯგუფს გადაუდვან სამოსწავლო შეკრებების ვადა. ეს გადავადება (отсрочка) მიცემული იქნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ ინსტრუქციის საფუძვლებზე.

39. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს უფლება აქვს ტერიტორიალური ნაწილების შევსების რაიონებში გაანთავისუფლოს წვევამდებლები სამოსწავლო შეკრებებისგან და ამის ნაცვლად დააწესოს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში გაწვეულთა სწავლება მე-33 მუხ. აღნიშნულ ვადის განმავლობაში, სამსახურის პირველ წელიწადს მათი ცვალებად შემადგენლობის სამთვიან სწავლებაზე გაწვევამდე.

კ ა რ ი III.

მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგის უმაღლესო-გენერალის ნამდვილი სამხედრო სამსახური

თ ა ვ ი I.

ნამდვილი სამხედრო სამსახური მუშურ-გლახურ წითელი არმიის კადრებში.

40. კადრებში განუწყვეტელ (ვადიან) სამსახურის და გრძელვადიან შევებულებაში ყოფნის ვადები წესდება:

ა) მუშურ-გლახური წითელი საზღვაო ფლოტის სამხედრომსახურთა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სანაპირო დაცვის საზღვაო ნაწილების სამხედრომსახურთათვის, რომელთაც აქვთ სამოსწავლო რაზმების სპეციალური სკოლების კურსი ან სახომალდო მომზადება — ოთხი წელიწადი ნაწილში ყოფნა და ერთი წელიწადი გრძელვადიან შევებულებაში ყოფნა;

ბ) მუშურ-გლახური წითელი საზღვაო ფლოტის სხვა დანარჩენ სამხედრომსახურთათვის (მათ შორის სანაპირო დაცვის ნაწილების წითელ ფლოტელების) და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სანაპირო დაცვის საზღვაო ნაწილებისათვის — სამი წელიწადი ნა-

წილში ყოფნა და ორი წელიწადი გრძელვადიან შვებულებაში ყოფნა;

გ) ყველა დანარჩენ სამხედრომსახურთათვის — ორი წელიწადი ნაწილში ყოფნა და სამი წელიწადი გრძელვადიან შვებულებაში ყოფნა.

განუწყვეტელი (ვადიანი) სამსახურის ვადები კადრებში სამხედრო სკოლების კურსანტებისათვის ეთანაბრება აღნიშნულ სკოლებში სწავლების ვადებს.

41. საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი დათხოვნილი გრძელვადიან შვებულებაში, შეიძლება მიწერილი იქნან სამხედრო ნაწილებზე თავის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

42. გრძელვადიან შვებულებაში ყოფნის დროს საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი შეიძლება გაწვეული იქნან სამოსწავლო შეკრებებზე საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს ორი თვისა, ხოლო თვითეულ წელში კი არა უმეტესი ერთი თვისა.

ეს შეკრებები ტარდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებთან ან გრძელვადიან შვებულთა საცხოვრებელ ადგილას.

43. უკეთეს სამხედრო სკოლის კურსანტი რაიმე მიზეზების გამო გამორიცხულია, სკოლის დამთავრებამდე მხოლოდ მასში ექვსი თვის სწავლების შემდეგ, ის ვალდებულია, მე-40 მუხლში აღნიშნულ ვადების ზევით, სამხედრო სკოლაში თვითეულ თვის სწავლებისათვის — იმსახუროს კადრის განუწყვეტელ სამსახურში ერთი თვე.



44. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის უფლება აქვს:

ა) დაითხოვოს გრძელვადიან შევებულებაში ვადიან სამსახურის სამხედრომსახურნი მე-40 მუხლში აღნიშნულ ვადებზე ადრე;

ბ) გამონაკლის შემთხვევაში დააკავოს ეს სამხედრომსახურნი ვადიან სამსახურში მე-40 მუხლში აღნიშნულ ვადაზე ზევით, მაგრამ არა უმეტესი ოთხი თვისა;

გ) ვადიან სამსახურში მყოფ სამხედრომსახურნი გადაიყვანოს კადრიდან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და იმ სამხედრომსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს ვადიან ჯარის გარეშე წესით;

დ) გრძელვადიან შევებულებაში მყოფი სამხედრომსახურნი გადაიყვანოს კადრიდან ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში;

ე) გაანთავისუფლოს სრულიად ან ნაწილობრივ სამსახურისაგან სამხედრო სკოლაში სწავლებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გრძელვადიან შევებულებიდან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში გადაყვანილი სამხედრომსახურნი, გაიწვევიან ამ ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამოსწავლო შეკრებებზე, ცვალებად შემადგენლობის მეოთხე და მეხუთე წლის სამსახურის თანაბარ საფუძვლებზე, მასთან არა უადრეს ვადიან სამსახურიდან დათხოვნის ერთი წლის გასვლისა.

თ ა ვ ი II.

ნამდვილი სამხედრო სამსახური მუშურ-გლახური წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

45. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ნამდვილი სამხედრო სამსახური მოიხდება შემდეგი წესით:

1. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი პირველ წლის განმავლობაში გადიან სამთვიან სწავლებას;

2. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში ეს სამხედრომსახურნი გადიან სამოსწავლო შეკრებებს;

ა) მსროლელთა და საარტილერიო ნაწილებში და სადივიზიო დაწესებულებებში საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს ხუთი თვისა, ხოლო თვითეულ წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა;

ბ) ცხენოსან ნაწილებში საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს რვა თვისა, ხოლო თვითეულ წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა;

გ) სპეციალურ ნაწილებში საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს ექვსი თვისა, ხოლო თვითეულ წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა;



3. პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების ნამდვილ სამსახურის დანარჩენ დროში ეს სამხედრო-მსახურნი იმყოფებიან შვებულებაში.

შვებულებაში ყოფნის დროს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი თავიანთ მეთაურების მიერ შეიძლება გაწვეული იქნან მოკლევადიან სამოსწავლო შეკრებებზე ხანგრძლივობით არა უმეტეს შვიდი დღისა ყოველ წელიწადს, და აგრეთვე ცალკე სამხედრო დავალებათა და მიცემულებათა შესასრულებლად თავის საცხოვრებელ ადგილიდან და მუშაობიდან მოუწყვეტლად.

გაძონაკლის შემთხვევებში (სტიქიური უბედურება, ბანდიტიზმის გავრცელება და სხვა) დივიზიის მეთაურებს უფლება აქვთ დააბრუნონ ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი შვებულებიდან ნაწილში და დააკავონ ისინი ნაწილში საქიროებას განვლამდე.

46. იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებით წვევამდელთა სამოსწავლო შეკრებები შეცვლილია ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში გაწვეულთა სწავლებით სამსახურის პირველ წლის განმავლობაში (მე-39 მუხ.). ეს სწავლება ტარდება სამთვიან სწავლები-საგან დამოუკიდებლად.

47. ცხენოსან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი, რომელთაც ჰყავთ



სამწყობრო ტიპის საკუთარი ცხენები, გადიან სწავლებლის სამსახურის პირველ წელიწადს და სამოსწავლო შეკრებებს თავიანთი ცხენებით.

ცხენოსან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი, რომლებიც ირიცხებიან კოლმეურნეობის წევრებად, გადიან სწავლებას სამსახურის პირველ წელიწადს და სამოსწავლო შეკრებებს კოლმეურნეობების ცხენებით.

ცხენოსან ტერიტორიალური ნაწილებზე ცხენების მიწერის და მათთან ერთად შეკრებაზე გამოცხადების წესი, წესდება განსაკუთრებული კანონით.

48. სამხედრომსახურნი, რომლებმაც რაიმე მიზეზის გამო გამოტოვეს სამოსწავლო შეკრებები, სწავლებისათვის გაიწვევიან შეკრებათაშორის პერიოდებში.

49. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს უფლება აქვს:

ა) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი გადაიყვანოს იმ სამხედრომსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით.

ბ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში დააკავოს უმცროს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი ნამდვილ სამხედრო სამსახურისათვის დაწესებულ ვადის ზევით, ხანგრძლივობით არა უმეტეს სამი წლისა, მათი სამოსწავლო შეკრებებზე გაწვევით საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს სამი თვისა და მათი



თადარიგში ყოფნისას სამოსწავლო შეკრებებიდან გადის ვისუფლებით.

შენიშვნა ამოშლილია. სსრკ. კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

თ ა ვ ი III.

ჯარისგარეშე წესით გასავლელი ნამდვილი სამხედრო სამსახური

50. სამხედრომსახურნი, რომლებიც გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს ჯარისგარეშე წესით, გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე საერთო ხანგრძლივობით ექვსი თვის ვადით, ხოლო თითო წლის განმავლობაში არა უმეტესი სამი თვისა.

ეს სამხედრომსახურნი სამოსწავლო შეკრებებს გადიან განსაკუთრებულ სამოსწავლო პუნქტებზე, რომელიც შეძლებისდაგვარად მათ საცხოვრებელ ადგილს, ან და ასეთს გადიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების შემადგენლობაში. შეკრებათაშორისო პერიოდებში ეს სამხედრო მსახურნი იმყოფებიან შვებულებაში.

სამხედრომსახურნი, რომლებიც გადიან სამსახურს ჯარისგარეშე წესით, შეიძლება მიწერილი იქნან სამხედრო ნაწილებზე მათი საცხოვრებელ ადგილების მიხედვით.

51. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გადაიყვანოს ტერიტორიალურ ნა-



წილების ცვალებად შემადგენლობაში სამხედრომსახურის
რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით.

(შ ე ნ ი შ ვ ნ ა ამოშლილია, სსრკ კან. კრებ. № 50, მუხ. 331).
(თავი 4 ამოშლილია, სსრკ კან. კრებ. № 50, მუხ. 331).

კ ა რ ი IV.

მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგის შემადგენლობის თადარიგი

55. რიგის შემადგენლობის პირნი, რომელნიც გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და ჯარისგარეშე წესით, იმყოფებიან მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგის შემადგენლობის თადარიგში ორმოც წლამდე ჩათვლით.

თადარიგი იყოფა ორ რიგად: პირველ რიგში მოქცეულია თადარიგელნი ოცდათოთხმეტ წლამდე ჩათვლით, მეორეში — თადარიგელნი ორმოც წლამდე ჩათვლით.

56. მე-55 მუხ. აღნიშნულ თადარიგ რიგის შემადგენლობის გადარიცხვა პირველ რიგის თადარიგიდან მეორე რიგის თადარიგში, აგრეთვე მეორე რიგის თადარიგიდან გარიცხვა, თადარიგელთა ორმოც წლამდე მიღწევისას, სწარმოებს ყოველ წელიწადში თითოჯერ.

57. მე-55 მუხ. აღნიშნულნი თადარიგელნი შეიძლება მიწერილ იქნან სამხედრო ნაწილებზე მათი საცხოვრებელ ადგილების მიხედვით.

58. მე-55 მუხ. აღნიშნულნი თადარიგელნი გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს სამი თვისა თადარიგში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში, ხოლო ერთი წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთი თვისა.

ეს შეკრებები გავლილი იქნება ან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებთან ან და თადარიგელთა საცხოვრებელ ადგილას.

(59 და 60 მუხ. მუხ. ამოშლილია, სსრკ კან. კრებ. №50, მუხ. № 331).

კ ა რ ი V.

სამხედრომსახურთა და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვა

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულება

61. სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა აღრიცხვას აწარმოებენ ჯარის ნაწილები, ადგილობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოები, და სარაიონო აღ-

მასრულებელი კომიტეტების და სოფლის საბჭოების სახელით
ნადო განყოფილებანი.

62. აღრიცხვაზე მყოფი ყველა სამხედროვალდებულნი და სამხედრომსახურნი ვალდებულნი არიან სისწორით შესრულონ აღრიცხვის ყველა წესები და გამოცხადდენ შესამოწმებელ აღრიცხვაზე, რაც დაწესებულია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

63. ყველა დაწესებულება და წარმოება ვალდებული არიან:

ა) იქონიოს სათანადო სამხედრო სააღრიცხვო ცნობები იმ მომუშავეთა პირად შემადგენლობაზე, რომლებიც არიან სამხედრომსახურნი ან და სამხედროვალდებულნი;

ბ) მომუშავეთა მუდმივ ან დროებით სამუშაოზე მიღებისას, მოთხოვოს მათ სამხედრო სააღრიცხვო საბუთების წარდგენა, გასინჯოს ამ საბუთებში მომუშავეთა საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, აღრიცხვაზე ყოფნის შენიშვნა და ასეთი შენიშვნების უქონლობისას, ასეთებზე აცნობოს ადგილობრივ სააღრიცხვო ორგანოებს.

სამხედრო სააღრიცხვო საბუთების წარუდგენლობა ან ასეთში შენიშვნის უქონლობა ვერ დააბრკოლებს სამსახურში მიღებას.

64. სახლის მმართველობა ქალაქად და სოფლის საბჭოები ვალდებული არიან ჩამოსულოთ ჩაწერის დროს მოთხოვონ სამხედრო სააღრიცხვო, საბუთების წარმოდგენა,



გასინჯონ ამ საბუთებში გასაწერ პირთა საცხოვრებელ ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანის შენიშვნა და ასეთი შენიშვნების უქონლობისას აცნობონ ამის შესახებ ადგილობრივ სააღრიცხვო ორგანოებს. სამხედრო სააღრიცხვო საბუთის წარმოუდგენლობა ან და შენიშვნის უქონლობა ვერ დააბრკოლებს ჩაწერას.

65. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები ვალდებული არიან:

ა) აცნობონ ადგილობრივ სააღრიცხვო ორგანოებს გარდაცვლილ სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა შესახებ, და აგრეთვე იმ სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა შესახებ, რომლებმაც გამოიცვალეს გვარი და სახელი;

ბ) მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის დროს მოთხოვოს სამხედრო სააღრიცხვო საბუთების წარმოდგენა, გასინჯონ ამ საბუთებში ამ პირთა საცხოვრებელ ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანის შენიშვნა და ასეთი შენიშვნის უქონლობისას აცნობონ ამის შესახებ ადგილობრივ სააღრიცხვო ორგანოებს.

სამხედრო სააღრიცხვო საბუთის წარმოუდგენლობა და შენიშვნის უქონლობა ვერ დააბრკოლებს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტის ჩაწერას.

66. მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, რომლეთაც მინდობილი აქვთ პირადობის მოწმობების გაცემა, ასეთი მოწმობების გაცემის დროს ვალდებული არიან მოითხოვონ სამხედრო



სააღრიცხვო საბუთების წარმოდგენა, გასინჯონ ამ საბუ-
 თებში ამ პირთა საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგი-
 ლრიცხვაში აყვანის შენიშვნა და ასეთი შენიშვნების უქონ-
 ლობისას აცნობონ ამის შესახებ სააღრიცხვო ორგანოებს.

სამხედრო სააღრიცხვო საბუთების წარმოუდგენლობა
 ან და შენიშვნების უქონლობა მასში ვერ დააბრკოლებს
 პირადობის მოწმობის გაცემას.

67. სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები
 ვალდებული არიან მიაწოდონ ცნობები ადგილობრივ სა-
 აღრიცხვო ორგანოებს იმ სამხედრომსახურთა და სამხედ-
 როვალდებულთა შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ თა-
 ვისუფლების აღკვეთა სამ თვეზე მეტი ხნის ვადით ან გა-
 დასახლებული ან გაძევებულია სასამართლოს ან ადმი-
 ნისტრაციული წესით.

68. სამხედროვალდებულთა და სამხედრომსახურთა
 მიერ აღრიცხვის წესების შესრულების მეთვალყურეობას
 და ამ წესების დარღვევასთან ბრძოლას ანხორციელებს
 ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოები. ამა-
 ში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებუ-
 ლი არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ
 სამხედრო სამმართველო ორგანოებს.

69. საზღვარგარეთ მცხოვრებ სამხედრომსახურთა და
 სამხედროვალდებულთა აღრიცხვა წარმოებს სსრ კავში-
 რის სრულუფლებიან წარმომადგენლების და საკონსუ-
 ლოების მიერ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო
 კომისარიატის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან



შეთანხმებით დაწესებულ განსაკუთრებულ წესებში
ხედვით.

თ ა ვ ი ი I I.

**ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევითა
აღრიცხვა**

70. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევების ჩასატარებლად, სსრ კავშირის მთელი კატეგორია იყოფა გამწვევ უბნებად. თვითეული გამწვევი უბანი, როგორც წესი, ეთანაბრება სამხედრო კომისარიატის მოქმედების რაიონს.

საჭიროების შემთხვევებში სამხედრო კომისარიატის მოქმედების რაიონი შეიძლება დაიყოს რამოდენიმე გამწვევ უბნებად.

71. ყოველწლიურად იანვრის თვის განმავლობაში ყველა მოქალაქენი, რომელთაც 1-ლ იანვრამდე შეუსრულდათ ოცდაერთი წელიწადი, აიყვანებიან აღრიცხვაზე ადგილობრივი სამხედრო სააღრიცხო ორგანოების მიერ და ერთდროულად მიეწერებიან გამწვევ უბნებზე მუდმივ საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

72. მე-71 მუხ. აღნიშნული მოქალაქენი ვალდებული არიან გამოცხადდნ აღრიცხვაზე ასაყვანად პირადათ სოფლად — სოფლის საბჭოებში, ქალაქებში კი — სამხედრო სააღრიცხო ორგანოებში და წარმოადგინონ თავის

ხნოვანობის დასამტკიცებლად მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მოწმობა ან სხვა (კანონით დასაშვები) საბუთები.

73. სააღრიცხვო ორგანოების მიერ აღრიცხვაზე აყვანილ თვითეულ მოქალაქზე სდგება სააღრიცხვო ბარათი. გამწვევ უბანზე მოქალაქის მიწერისას, გასაწვევ ბარათში შეიტანება ცნობები მისი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები შეიტანება შემდეგ საფუძვლებზე:

ა) სოფლის მცხოვრებთა მიმართ — საკომლო წიგნების ამონაწერების (თუ ასეთი წარმოებს) და სოფლის საბჭოების მოწმობების მიხედვით;

ბ) ქალაქის მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების საექსპლოატაციო სახლებში — სახლის მმართველობის მოწმობების, ხოლო მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ კერძო პირების საექსპლოატაციო სახლებში (ფიზიკური და იურიდიული) — მილიციის ორგანოების და პროფესიონალურ კავშირების მოწმობების მიხედვით.

74. მორიგ შეკრებაზე გასაწვევი ყოველი მოქალაქე ვალდებულია გამოცხადდეს გაწვევაზე იმ გასაწვევ უბანში, რომელზედაც ის მიწერილია.

გასაწვევ უბნის შეცვლა დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ წესების დაცვით.

სამხედრომსახურთა და თადარიგთა აღრიცხვა

75. გრძელვადიან შვებულებაში მყოფ სამხედრომსახურთათვის, სამხედრომსახურთათვის, რომლებიც გადიან სამსახურს ჯარისგარეშე წესით, და თადარიგელთათვის წარმოებს შემდეგი სახის აღრიცხვა:

ა) საერთო აღრიცხვა, რომელზედაც იმყოფებიან ზემოხსენებული ყველა სამხედრომსახურნი და თადარიგელნი, „ბ“ პ. აღნიშნულის გამოკლებით;

ბ) სპეციალური აღრიცხვა, რომელზედაც იმყოფებიან მოხსენებულ სამხედრომსახურთა და თადარიგელთა ის პირები, რომლებმაც მიიღეს ვადის გადადება მობილიზაციით გაწვევის შემთხვევაში.

სპეციალური აღრიცხვას, მე-61 მუხლში აღნიშნულ სააღრიცხო ორგანოების თანაბრად, აწარმოებს აგრეთვე ის დაწესებულება და წარმოება, რომელშიაც მსახურობენ სამხედრომსახურნი და თადარიგელნი.

76. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი ნამდვილი სამსახურის მთელი დროის განმავლობაში იმყოფებიან ნაწილების სიებში და გარდა ამისა ტარდებიან სარეგისტრაციოდ აათანადო სააღრიცხო ორგანოებში.

77. სამხედრო და შაზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დააწესოს განსაკუთრებული აღრიც-

ხვა ცალკე კატეგორიების სამხედრომსახურთა და თადარიგელთა (რკინის გზის და წყლის ტანსპორტის მუშაკთათვის, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოთა მუშაკთათვის და სხვა) ან მარტივი აღრიცხვა და აგრეთვე სრულიად გაანთავისუფლოს აღრიცხვისაგან სამხედრომსახურთა და თადარიგელთა ცალკე კატეგორიები.

კ ა რ ი VI

ორგანოები, რომლებიც განაგებენ მოქალაქეთა გაწვევას სამხედრო სამსახურის მოსახდელად

78. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად მოქალაქეთა გაწვევის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ანხორციელებს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი, ხოლო სამხედრო ოლქის ფარგლებში კი — ოლქების ჯარების სარდლები.

79. უშუალო მუშაობას მოქალაქეების სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელად გაწვევისათვის ასრულებენ სამხარეო (საოლქო) და დივიზიების (კორპუსების) ტერიტორიალური სამმართველოები და სამხედრო კომისარიატები.

სამხედრო კომისარიატებში მოსახლეობის რაოდენობის და სიმჭიდროების მიხედვით მოქცეულია ერთი ან რამოდენიმე რაიონი.

8. სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე და სხვა სამოსწავლო მეცადინეობაზე:

ა) ტერიტორიალური ნაწილების შევსების რაიონებში — ამ ნაწილების მეთაურების მიერ;

ბ) ტერიტორიალური ნაწილების შევსების გარეშე სამხედრო კომისარიატების მიერ;

გ) რკინის. გზის და წყალსავალ საგზაო მიმოსვლებზე — სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლის მიერ ამ გზებზე.

81. მოქალაქეთა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა ტარდება:

ა) სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების მიერ;

ბ) ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევ კომისიების მიერ, ხოლო იქ, სადაც არ არის ტერიტორიალური სამმართველოები — სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევ კომისიების მიერ.

გამწვევი კომისიები ითვლებიან მუდმივ ორგანოებად.

82. საჭირო შემთხვევებში, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, გაწვევის პერიოდისათვის ეწყობა დამატებითი გამწვევი კომისიები,



სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიებთან უფლებებით.

83. როგორც ძირითადი, აგრეთვე დამატებითი გამწვევი კომისიები, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მოსახლეობასთან დაახლოვების მიზნით, მორიგი გაწვევის ფაქტარებისას შეიძლება გადანაცვლებული იქნან ერთ გასაწვევ პუნქტიდან მეორეში.

84. სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიებზე დაკისრებულია:

ა) ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით შეღავათების მინიჭება, და აგრეთვე საჭირო შემთხვევებში, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა ამ შეღავათების განსაზღვრის და მინიჭებისათვის;

ბ) მე-8 კარში აღნიშნულის საფუძვლებზე გაწვევის გადავადების მინიჭება;

გ) ავადმყოფობის ან ფიზიკური განუვითარების გამო გაწვევის გადავადება, და აგრეთვე ავადმყოფობით ან ფიზიკური განუვითარებით სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლება;

დ) გარეგანი შეხედულებით ჰასაკის გამოკვევა იმ გასაწვევ პირთა, რომელთა ჰასაკი ვერ არის დადასტურებული სათანადო საბუთებით;

ე) გასაწვევთა საექიმო შემოწმება;

ვ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა მიღება;

ზ) სასამართლოს დადგენილების საფუძვლებზე დაყრდნობით დეილ სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება გეგმიური რწმენის მიხედვით;

თ) მე-28 მუხლში აღნიშნულ გასაწვევ ჰასაკის პირთა ზურგის ლაშქარში ჩარიცხვა.

85. ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევ კომისიებზე დაკისრებულია:

ა) სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევი კომისიების მოქმედების ხელმძღვანელობა და ამ მოქმედების კონტროლი;

ბ) სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების მოქმედებაზე საჩივრების განხილვა;

გ) გადასინჯვა იმ გასაწვევ პირთა და ხელახალი გასინჯვა, რომელთა შესახებ სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიებს გარკვეული გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ მათ ვარგისიანობაზე, კომისიის წევრთა უმრავლესობის და კომისიაში მონაწილეთა თუ გინდ ერთერთ ექიმს შორის მომხდარ უთანხმოების შედეგად;

დ) ცალკე გასაწვევთა ან ასეთების მთელი ჯგუფების ხელახალი გასინჯვა იმ შემთხვევაში, თუ საექვო სამხედრო კომისარიატებთან არსებულ კომისიების გადაწყვეტილების სისწორე.

86. სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევ კომისიებზე დაკისრებულია წინა მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული მოვალეობანი.

წინა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული მოვალეობები სამხედრო ოლქის შტაბებთან არსებულ გამწვევ კომისიების ნაცვლად, სამხედრო საოლქო ჯარების სარდლების მითითებით შესრულებული იქნება სხვა სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების მიერ.

87. ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევ კომისიების გადაწყვეტილება და სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევი კომისიების გადაწყვეტილება, მათ მიერ გასაწვევის ხელახლად გასინჯვის შემთხვევებში, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

88. სამხედრო კომისარიატთან არსებული გამწვევი კომისიები სდგება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სამხედრო კომისარი, წევრები: ა) რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი, სამხედრო კომისარიატის ადგილმდებარეობის მიხედვით, ბ) პროფესიონალურ კავშირთა სათანადო კავშირთა შორისო უნაერთის წარმომადგენელი, გ) სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის დანიშვნით — მეთაურთა წარმომადგენელი და დ) ორი ექიმი, ერთი სამხედრო და ერთი სამოქალაქო.

შენიშვნა: სამხედრო ექიმის არ ყოფნისას, დასაშვებია მისი სამოქალაქო ექიმით შეცვლა.

89. ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებული გამწვევი კომისიები ეწეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — ტერიტორიალური სამმართველოს თავმჯდომარე, წევრები: ა) სამხარეო (საოლქო) აღმასრულებ-



ბელ კომიტეტის წარმომადგენელი, ბ) პროფესიონალური კავშირთა სამხარეო (საოლქო) კავშირთა შორისო შენაერთის წარმომადგენელი და გ) ორი ექიმი (ერთი სამხედრო და ერთი სამოქალაქო).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ კი დივიზიის (კორპუსის) ტერიტორიალური სამმართველოს რაიონი არ დაემთხვევა სამხარეო (საოლქო) ტერიტორიალური სამართველოსთან არსებულ გამწვევ კომისიის შემადგენლობაში სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტის და პროფესიონალურ კავშირთა კავშირთა შორისო შენაერთის წარმომადგენელის ნაცვლად შეიყვანება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის და სათანადო კავშირთა შორისო შენაერთის წარმომადგენლები, ტერიტორიალური სამმართველოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

90. სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევი კომისიები ეწყობა იმავე შემადგენლობით, როგორც ტერიტორიალურ სამმართველოებთან არსებული კომისიები, გარდა თავმჯდომარისა, რომელსაც პერსონალურად ნიშნავს სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი კადრის უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურთაგან.

91. დამატებითი გამწვევი კომისიები ეწყობა იმავე შემადგენლობით, როგორც სამხედრო კომისარიატებთან არსებული გამწვევი კომისიები გარდა თავმჯდომარისა, რომელსაც პერსონალურად ნიშნავს სამხედრო ოლქის ჯარე-

ბის სარდალი, კადრის უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურთაგან.



92. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს უფლება აქვს კადრის უფროსთა შემადგენლობის სიმცირის შემთხვევაში, დამატებითი გამწვევ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნოს გრძელვადიან შევებულებაში ან თადარიგში მყოფი უფროსთა შემადგენლობის პირი. დამატებითი გამწვევ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება ამ შემთხვევაში ჩაეთვლება, როგორც სამოსწავლო შეკრების გავლა.

93. იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებითი გამწვევი კომისია მუშაობს სოფლად, მის შემადგენლობაში პროფესიონალური კავშირების კავშირთაშორისო შენაერთის წარმომადგენლის ნაცვლად შეყვანილი იქნება ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციის (გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის, ნეზამოჟნი სელიანთა კომიტეტის, კოშჩის კომიტეტის და სხვა) ან კოლმეურნეობის წარმომადგენელი.

94. სარდლობის წარმომადგენლები და ექიმები ინიშნებიან გამწვევი კომისიების შემადგენლობაში მხოლოდ მორიგი გაწვევის დროს.

95. გამწვევი კომისიის შემადგენლობაში, 88 და 89 მუხლებში აღნიშნულ პირების გარდა შედიან გადამწყვეტი ხმის უფლებით:

ა) მოსწავლეთათვის, სამეცნიერო მუშაკთა და სოფლის მასწავლებელთათვის გადავადების მინიჭების შესახებ

შეცვლით ან სამსახურით, რომელიც გავლილი უნდა იქნეს
ჯარის გარეშე წესით.

98. შეღავათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე მი-
ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც გასაწვევია ერთად-
ერთი შრომის უნარიანი ოჯახის წევრი, როდესაც ერთი
ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია ოჯახში და
რომელთაც ის არჩენს თავის შრომით.

კოლმეურნეობათა წევრებს ეს შეღავათი მიენიჭებათ
საერთო წესის მიხედვით (სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50,
მუხ. 331).

99. „ოჯახის“ ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა საფეხუ-
რის პირთა ნათესაურ-შრომითი გაერთიანება, რომელნიც
ერთად სცხოვრობენ და ეწვეიან ერთ მეურნეობას ან
სცხოვრობენ საერთო სახსრით.

ოჯახის შემადგენლობაში ითვლებიან აგრეთვე ქორ-
წინების ან შვილად აყვანის გზით შესული პირები.

გლების ოჯახის შემადგენლობიდან არ გამოირიცხე-
ბიან შრომითი საშოვარზე დროებით წასულნი, თუ ისანი
კანონის ძალით კომლის შემადგენლობიდან გასულად არ
ითვლებიან.

შეღავათის უფლებების განსაზღვრის დროს მხედვე-
ლობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ისეთი ოჯახური
გაყოფა, რომელიც მომხდარია და რეგისტრაციაქმნილია
არსებულ წესებით გაწვევამდე ერთი წლით ადრე.

სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომი-
სიებს უფლება აქვთ გამონაკლის შემთხვევებში მიიღონ



შხედველობაში ისეთი ოჯახური გაყოფა, რომელიც ჩატარებულია გაწვევამდე ერთი წლით ადრე, მაგრამ სწორედ იქიდან არ არის გატარებული რეგისტრაციაში ან და რეგისტრაციაქმნილია გაწვევამდე ერთი წლის ვადაზე გვიან.

100. შეღავათის უფლებების განსაზღვრის დროს ოჯახის შემადგენლობაში არ უნდა ჩაითვალოს:

ა) ოჯახის ის წევრები, რომლებიც გაწვეული არიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და ირიცხებიან კადრში (მათ რიცხვში სამხედრო სკოლის კურსანტები);

ბ) ოჯახის წევრები, რომლებსაც გაწვევის მომენტში სასამართლოს განაჩენის მიხედვით შეკვეცილი აქვთ თავისუფლება, და რომლის ვადა თავდება არა უადრეს ორი წლისა ამ გაწვევის შემდეგ;

გ) ოჯახის შრომის უნარმოკლებული წევრები, რომლებიც ითვლებიან სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე და სასაწვევის რჩენაზე არ იმყოფებიან;

დ) ის პირები, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან უკვალოდ განშორებულად.

101. ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებთან ჩაითვლებიან:

ა) მამრობითი სქესის პირნი თვრამეტ წელზე ნაკლები და ორმოცდა ხუთმეტ წელზე მეტი და მდედრობითი სქესის თვრამეტ წელზე ნაკლები და ორმოცდაათი წელზე *) მეტი გაწვევის წლის 1-ლ ნოემბრისათვის;

*) მთარგნელის შენიშვნა: საქართველოში 40 წელზე მეტი.



ბ) მდედრობითი სქესის პირნი, რომლებიც გააძლიერებენ დღეს იმყოფებიან ორსულობის ხანაში და რაც დადასტურებულია ექიმის მიერ;

გ) მდედრობითი სქესის პირნი, რომლებიც უფლიან ამ ოჯახის შემადგენლობაში შემავალ რვა წლისაზე ნაკლებ ბავშებს;

დ) ინვალიდები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოითხოვენ გარეშე დახმარებას და ინვალიდები, რომლებსაც არავითარი შრომის უნარი არ აქვთ ხელფასის მოსაპოვებლად, მაგრამ გარეშე დახმარებას არ საჭიროებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების პირობათა მიხედვით, დააწესოს მდედრობითი სქესის პირთა შრომის უნარმოკლებულად ცნობის დამატებითი შემთხვევები.

102. ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე შეღავათის უფლება ესპობა იმ გასაწვევ პირს, რომლის შესახებ სასამართლო დადასტურებს, რომ ის არიდებს თავს ან ცდილობდა თავი აერიდებია ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

103. შეღავათებს ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე ანიჭებენ სამხედრო კომისარიატებთან არსებული გამწვევი კომისიები.



სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის
 მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭო-
 ებთან შეთანხმებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე
 შეღავათების უფლებების განსაზღვრა ან და ასეთი შეღავ-
 ათების მინიჭება შეიძლება დააკისროს რაიონულ აღმა-
 სრულებელ კომიტეტებთან არსებულ სპეციალურ კომი-
 სიებს. ასეთი კომისიები ეწყობა შემდეგი შემადგენლო-
 ბით: თავმჯდომარე — რაიონულ აღმასრულებელ კომი-
 ტეტის წარმომადგენელი და წევრები: გლეხთა ურთიერთ
 დამხმარე კომიტეტების, ნეზამოყნისელიანთა კომიტეტის
 (უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში) ან
 კოშჩის კავშირის (შუა-აზიის რესპუბლიკებში) და იმ
 ადგილის სასოფლო საბჭოს წარმომადგენელი, რომელ-
 შიაც გასაწვევი ცხოვრობს.

104. როდესაც გასაწვევის ოჯახის შრომის უნარმო-
 კლებული წევრი, რომელსაც უფლება არ აქვს შეღავა-
 თებზე, რჩება უსახსროთ, გამწვევ კომისიას შეუძლია გა-
 მონაკლის შემთხვევაში ამ გასაწვევ პირს კადრებში სამ-
 სახური შეუცვალოს—ტერიტორიალური ნაწილების ცვა-
 ლებად შემადგენლობაში სამსახურით ან სამსახურით, რო-
 მელიც გავლილი უნდა იქნეს ჯარის გარეშე წესით.

105. როდესაც კოლმეურნეობის წევრი — კვალიფი-
 ციური მომუშავეთა გაწვევის გამო კოლმეურნეობას აკლ-
 დება მისი ნორმალური მოქმედებისათვის საჭირო მუშა
 ხელი, გამწვევ კომისიას, გამონაკლის შემთხვევებში, სა-
 რაიონო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დადასტურე-

ბულ შუამდგომლობით, შეუძლია გასაწვევს კადრებში სამსახური • შეუცვალოს ტერიტორიალური ნაწილები ცვალებად შემადგენლობაში სამსახურით, ან სამსახურით, რომელიც გავლილი უნდა იქნეს ჯარის გარეშე წესით.

106. ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე შელავათები მიენიჭებათ გასაწვევ პირთა გასაწვევ ბარათებში აღნიშნულ ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის საფუძველზე.

107. გასაწვევ ბარათში ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე ცნობების შეტანის შემდეგ ოჯახის შემადგენლობაში მომხდარ „ყველა ცვლილებების შესახებ, რაც ართმევს შელავათის უფლებას, გასაწვევი ვალდებულია განაცხადოს არა უგვიანეს თავისი გაწვევის წლის 1-ლ სექტემბერს.

ცნობების მიუწოდებლობა ოჯახის შემადგენლობის ისეთი ცვლილებებზე, რაც ართმევს შელავათის უფლებას, ან და ცრუ ცნობების მიწოდება დევნილი იქნება სისხლის სამართლის წესით.

108. მე-103 მუხლში აღნიშნული შელავათების მინიჭების მუშაობას კომისიები ამთავრებენ 1-ლ ივლისისათვის. ამის შემდეგ ისინი აღგენენ სიას იმ პირებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ შელავათები.

შელავათების მქონე პირთა სიები არა უგვიანეს, ვიდრე შორიგი გაწვევამდე ერთი თვით ადრე, გამოიკიდება საყოველთაო მიმოხილვისათვის სამხედრო კომისარიატებში, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში და მუშურ-გლეხურ მილიციის ორგანოებში. ამ სიებიდან ამონაწერი ეგ-



ზავნება გამოსაკიდებლად სოფლის საბჭოებს, მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სხვებს.

ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ზეპირად ან წერილობით განუცხადოს კომისიას მათ მიერ შემჩნეული შეცდომები სიებში. კომისია ვალდებულია განიხილოს ასეთი განცხადებები.

109. სამხედრო კომისარიატებთან არსებული გამწვევი კომისიების დადგენილებები შეღავათის მინიჭების ან შეღავათის გაუვრცელებლობის შესახებ შეიძლება განსაჩივრებული იქნეს დაინტერესებულ პირთა მიერ ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ კომისიებში ან სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ კომისიებში არა უგვიანეს გაწვევის წლის მომდევნო წლის 1-ლ იანვრისა.

საჩივრები განიხილებიან ერთი თვის ვადაში. კომისია თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აცნობებს მომჩივანს. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიის დადგენილების სისრულეში მოყვანას.

ტერიტორიალური სამმართველოებთან და სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევი კომისიებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გადასინჯონ სამხედრო კომისარიატებთან არსებული გამწვევი კომისიების დადგენილებები.

ტერიტორიალური სამმართველოებთან და სამხედრო
ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევ კომისიების
საჩივრებზე და ზედამხედველობითი წესით გამოტანილი
დადგენილებები ითვლება საბოლოოდ და შემდეგ გასა-
ჩივრებას არ ექვემდებარება.

110. იმ შემთხვევებში, როდესაც 103 მუხლის თანახ-
მად ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე შეღავათების მი-
ნიჭება დაკისრებულია რაიონის აღმასრულებელ კომი-
ტეტებთან არსებულ კომისიებზე, დაინტერესებულ პირ-
თა მიერ საჩივრები ამ კომისიის დადგენილებებზე შეი-
ტანება სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ
კომისიებში. ამ საჩივრების განხილვისათვის მისაღებია
იგივე წესები, რაც დაწესებულია მე-109 მუხლში სამხე-
დრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების
დადგენილებების განსაჩივრებისათვის.

111. საზღვარგარეთ მცხოვრებს სსრ კავშირის მო-
ქალაქეების ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე შეღავა-
თებს ავრცელებენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარ-
მომადგენელი ან კონსულები.

114. კადრის შემადგენლობის სამხედრომსახურის ოჯა-
ხურ-ქონებრივი მდგომარეობის შეცვლა მისი ვადიანი
სამსახურში ყოფნის დროს გავლენას ვერ მოახდენს სამ-
სახურის შემდეგ გავლენაზე.

(112, 113. და 115 მუხ. მუხ. ამოშლილია სსრკ კან.
კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

ნამდვილი სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება

116. ნამდვილი სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება მიენიჭებათ:

ა) მოსწავლეებს, რომელნიც არ გადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მზადებას.

ბ) სამეცნიერო მუშაკებს;

გ) სკოლის მასწავლებლებს სოფლად;

დ) გადასახლებულთ და გადმოსახლებულთ;

ე) სასოფლო-სამეურნეო ემიგრანტებს და იმიგრანტებს;

ვ) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კვალიფიკაციურ სპეციალისტებს.

117. იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ გადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მზადებას, გაწვევის გადავადება მიენიჭებათ სამოსწავლო დაწესებულების სრული კურსის დასრულებისადმი.

იმ სამოსწავლო დაწესებულებების სია, რომლის მოსწავლეებსაც ეძლევათ გაწვევის გადავადება და აგრეთვე ჰასაკის გადაცილება სხვადასხვა სამოსწავლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის გადავადების მხრივ, წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის

მიერ საკავშირო სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

118. თუ კი მოსწავლემ ვერ დაამთავრა კურსი განსაზღვრულ ჰასაკის მიღწევამდე იმის გამო, რომ სახელმწიფო, პროფესიონალური ან პარტიული ორგანოების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად მოცდენილი იყო რეგულიარულ მეცადინეობას — მას შეიძლება მიენიჭოს დამატებითი გადავადება, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე იგი ოცდაათ წლის ჰასაკს მიაღწევდეს.

119. თუ მოსწავლე, რომელიც სარგებლობს გადავადებით, სასწავლებლიდან გამოვა სურვილით ან კურსის დამთავრებამდე გამორიცხული იქნება სამოსწავლო დაწესებულებიდან, ის კარგავს გადავადების უფლებას და უნდა გამოცხადდეს მახლობელ მორიგ გაწვევაზე. გადავადებას ინარჩუნებს იმ შემთხვევაში, თუ კი ის ხელახლად შევა ისეთ სამოსწავლო დაწესებულებაში, რომლის მოსწავლეებს ეძლევათ გაწვევის გადავადება.

120. თუ მოსწავლე, რომელსაც არ გაუვლია უმაღლესი ჯარის გარეშე მზადება, დაასრულებს სასწავლებელს იმ წელიწადში, როდესაც იგი გაწვეული უნდა იქნეს მორიგ გაწვევაზე და მოისურვებს განაგრძოს სწავლა, მას შეუძლია მიიღოს გადავადება მე-17 მუხლის თანახმად. ამისათვის მან არა უგვიანეს თავის გაწვევის წლის 1-ლ ოქტომბრისა უნდა წარადგინოს გამწვევ კომისიაში მოწმობა სხვა სასწავლებელში მიღების შესახებ, რომლის მოსწავლეებს ეძლევათ გაწვევის გადავადება.



უკეთუ ის 1-ლ ოქტომბრისათვის არ წარმოადგენს ასეთ მოწმობას, გაწვეული იქნება საერთო წესის ხაზგდგენილებზე.

121. საზღვარგარეთის სამოსწავლო დაწესებულებებში მოსწავლეებს შეიძლება მე-17 მუხლის თანახმად მიენიჭოთ გადავადება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი სახელმწიფო ან პროფესიონალური ორგანოების მიერ მივლინებული არიან სასწავლებლად საზღვარგარეთ.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უფლება აქვს მიანიჭოს გაწვევის ვადა საზღვარგარეთის სამოსწავლო დაწესებულებებში სხვა მოსწავლეებსაც.

122. იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სამოსწავლო დაწესებულებები და დატოვებული არიან იქვე ან სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებთან როგორც ასპირანტები ან ორიდინატორები ენიჭებათ გაწვევის გადავადება ვადით სამ წლამდე, მაგრამ არა უმეტეს ოცდაათი წლის შესრულებისა.

123. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულების და სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა პროფესორებს, დოცენტებს, ასისტენტებს, მასწავლებლებს, ლაბორანტებს, პროზექტორებს და პრეპარატორებს მიენიჭებათ გაწვევის გადავადება ოცდაათი წლის მიღწევამდე.

აგრეთვე გადავადება მიენიჭებათ სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის, სრულიად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის და ბელორუსიის სამეცნიერო აკადემიის, მათი

ქვემდებარე დაწესებულებათა სათანადო სამეცნიერო მუშაკებს.

124. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებათა და სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა სია, რომელთა სამეცნიერო მუშაკებს ეძლევათ გაწვევის გადავადება, წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

125. სასოფლო ადგილებში მდებარე (და უკრაინის და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების დაბებში) 1-ლ და 2-ე საფეხურის სკოლების, პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლების, საქარხნო-საფაბრიკო და მასიურ პროფესიათა სკოლების, და გლეხთა ახალგაზდობის სკოლების ყველა მასწავლებლებს მიენიჭებათ გაწვევის გადავადება ამ სკოლებში მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

126. ახალ ადგილებზე ტყიან (ტაიგის) ტყე-ველიან და ველიან რაიონებში, აგრეთვე ყამირ მიწებზე დაბინავებულ გადმოსახლებულთა და გადასახლებულებს ენიჭებათ გაწვევის გადავადება სამი წლის ვადით დასახლების დროიდან, ხოლო დახნულ მიწებზე დასახლებულებს გადასახლების დროიდან ერთი წლის ვადით. ეს გადავადებანი იანგარიშება დასახლების წლის 1-ლ სექტემბრიდან.

127. კოლმეურნეობებში (როგორც დაქირავებით ისე კოლმეურნეობის წევრათ) საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში მომუშავე კვალიფი-



ციურ სპეციალისტებს ენიჭებათ გაწვევის გადავადების
 ვადით სამ წლამდე, მაგრამ არა უმეტეს ოცდაათი წლის
 შესრულებისა.

სპეციალისტთა კატეგორიები, რომლებსაც ენიჭებათ
 გაწვევის გადავადება, წესდება სამხედრო და საზღვაო
 საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კ-რის მიწათ-
 მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

128. სსრ კავშირის მოქალაქეთ მიღებულ სასოფლო-
 საშენობო ემიგრანტებს და იმიგრანტებს ენიჭებათ გა-
 წვევის გადავადება, იმ საფუძვლებზე, რაც 126 მუხლით
 დაწესებულია გადასახლებულთა და გადმოსახლებულ-
 თათვის.

129. გაწვევის ყოველნაირ გადავადებას ანიჭებს სამ-
 ხედრო კომისარიატებთან არსებული გამწვევი კომისიები.
 გადავადების მინიჭების წესებს აწესებს სამხედრო და
 და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი სოციალის-
 ტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და მოკავშირე
 რესპუბლიკების დაინტერესებულ სახალხო კომისარია-
 ტებთან შეთანხმებით.

130. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომი-
 სარიატს უფლება აქვს:

- ა) მე-122 მუხლში აღნიშნულ პირებს მიანიჭოს გა-
 წვევის დამატებითი გადავადება;
- ბ) დაინტერესებულ დაწესებულების შუამდგომლობით,
 გამონაკლის შემთხვევებში, მიანიჭოს გაწვევის გადავადება

ცალკე მოქალაქეებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს, რომლებსაც
ნიც არ ეკუთვნიან 116-მუხლში აღნიშნულ კატეგორიებს;

გ) საჭირო შემთხვევებში გამოიყენოს მუშურ-გლახურ
წითელ არმიაში ცალკე მოქალაქენი ან მოქალაქეთა ჯგუ-
ფები, რომლებმაც მიიღეს გაწვევის გადავადება ან აქვთ
გაწვევის გადავადების უფლება, გაიწვიოს ისინი ნამდვილ
სამხედრო სამსახურში საერთო წესის საფუძვლებზე.

კ ა რ ი IX

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ჩა- ტარება

თ ა ვ ი I

გაწვევის ვადები და გაწვევაზე გამოცხადება

131. იმ მოქალაქეთა მორიგი გაწვევა, რომლებმაც
გაწვევის წლის 1-ლ იანვარს მიაღწიეს ოცდაერთ წელი-
წადს (იმათ გარდა, ვინც ჯარისგარეშე მომზადებას გადის)
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის გან-
კარგულებით ტარდება ყოველწლიურად 1-ლ სექტემბრის
და 1-ლ ნოემბრის თვეებს შორის.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს
უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, გააგრძელოს მო-
რიგი გაწვევის ჩატარების დრო.



გაწვევის სწორი ვადები თვითეულ სამხედრო ოლქისთვის წესდება ადგილობრივ პირობების მიხედვით საოლქო ჯარების სარდლის მიერ.

საყოველთაო საყურადღებოთ გაწვევა ცხადდება სამხედრო კომისარიატების ან ტერიტორიალური სამმართველოების ბრძანებებით.

132. თვითეული გასაწვევი ვალდებულია გამოცხადდეს გაწვევაზე სათანადო ბრძანებაში ნაჩვენებ ვადებში.

გარდა იმ პირებისა, რომლებიც მე-8 კარის თანახმად მიიღეს გაწვევის გადავადება, გაწვევაზე გამოცხადებისაგან არავინ არ თავისუფლდება.

თუ კი გასაწვევს საპატიო მიზეზების გამო არ შეუძლია გამოცხადდეს, ის ვალდებულია ამის შესახებ სათანადო საბუთი წარუდგინოს გამწვევ კომისიას.

თ ა ვ ი II

გასაწვევთა საექიმო შემოწმება

133. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევნი, მათი ნამდვილ სამხედრო სამსახურის გავლისათვის ფიზიკური ვარჯისიანობის გამოსარკვევად გადიან საექიმო შემოწმებას.

134. თუ გასაწვევის ხნოვანობა ვერ არის დადასტურებული საბუთებით და ეს კი იწვევს ეჭვს გამწვევ კომისიისათვის, კომისია, საექიმო შემოწმების წინ, გარეგანი შეხედულობით საზღვრავს მის ხნოვანობას. ის პირი, რო-

მელიც კომისიის მიერ ცნობილი იქნება გასაწვევ კისათვის შეუფერებლად, გამოირიცხება მიმდინარე გასაწვევთა კონტიგენტიდან.

გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება გასაწვევის ჰასაკის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

135. საექიმო შემოწმება ტარდება შემდეგი რიგით: პირველად შემოწმდებიან უშელავათოენი, შემდეგ კი შელავათიანები.

136. საექიმო შემოწმების მიხედვით, გამწვევ კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) სამწყობრო სამსახურისათვის ვარიგისიანობის შესახებ;

ბ) უმწყობრო სამსახურისათვის ვარიგისიანობის შესახებ;

გ) სამხედრო სამსახურისათვის დროებით ვარიგისიანობის ავადმყოფობის ან დაუვაჟკაცებლობის გამო, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მინიჭებით;

დ) სამხედრო სამსახურისათვის სრულიად უვარგისიანობის შესახებ.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

137. გადავადება ავადმყოფობის ან დაუვაჟკაცებულობისათვის მიენიჭება მხოლოდ ერთხელ მომავალ მორიგ გაწვევამდე. ამ გადავადების გავლის შემდეგ, გამწვევ კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება გასაწვევის ან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღების შესახებ, ან მისი

სამხედრო სამსახურისათვის სრულიად უვარგისობის
სახებ.

138. გასაწვევი პირი, რომელიც ცნობილი იქნება სრულიად უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, გამწვევი კომისია ანთავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და გამოორიცხავს სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვიდან.

139. გამწვევი კომისიის წევრთა უმრავლესობის და კომისიაში მონაწილე თუგინდ ერთ-ერთ ექიმთა შორის უთანხმოების შემთხვევაში, გასაწვევი იგზავნება ხელახალ შემოწმებისათვის ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევ კომისიაში ან სხვა სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიაში.

140. საჭიროების შემთხვევაში, გამწვევ კომისიას შეუძლია გასაწვევი გამოსაცდელად გადაგზავნოს სამხედრო ან სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში გასაწვევის ვარგისიანობის შესახებ გადაწყვეტილებას გამწვევი კომისია გამოიტანს შემოწმების შედეგების გამორკვევის შემდეგ.

141. სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების დადგენილებები გასაწვევთა ვარგისიანობის შესახებ შეიძლება განსაჩივრებული იქნეს დაინტერესებულ პირთა მიერ ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევ კომისიებში ან სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებულ გამწვევ კომისიებში. ეს კომისიები ვალდებულნი არიან ერთი თვის ვადაში განიხილონ სა-



ჩივრები და თავისი გადაწყვეტილება დაუყონებლივ მოახდინოს მომჩივანს.

საჩივრის შემოტანა არ შეაჩერებს სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიის დადგენილების სისრულეში მოყვანას.

142. ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებული გამწვევ კომისიების და სამხედრო ოლქების შტაბებთან არსებული გამწვევ კომისიების საჩივრებზე გამოტანილი დადგენილებები, აგრეთვე ტერიტორიალური სამმართველოებთან არსებულ გამწვევი კომისიების და სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიების ექიმებთან უთანხმოებაზე გამოტანილი დადგენილებები, საბოლოოა და არ შეიძლება განსაჩივრებული იქნეს.

თ ა ვ ი III

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღება

143. მე 136 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს, გამწვევი კომისიას ერთდროულად გამოაქვს გადაწყვეტილება თვითეულ გასაწვევის ვარგისიანობის შესახებ ამა თუ იმ სახის ჯარში სამსახურისათვის, გასაწვევის ფიზიკურ თვისებების, საერთო განვითარების, საქმიანობის სახის და წინამორბედი სამხედრო მომზადების გათვალისწინებით.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).



144. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღებულთა კატეგორიაში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად მდგენლობაში დანიშვნა ხდება განაწესის თანახმად.

145. კადრში და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ჩაინიშნებიან მიღებულთაგან ის პირები, რომლებსაც უდგებათ 136-მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

ჯარისგარეშე წესით გასავლელ ნამდვილ სამხედრო სამსახურში ჩაირიცხებიან მიღებულთა ის პირები, რომლებიც 136-მუხ. „ა“ და „ბ“ პუნ. ხვდებიან და რომლებიც დარჩენ ზედმეტად კადრებსა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში განაწესის შევსების შემდეგ.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

146. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღებულთა რიცხვიდან ჩაირიცხებიან უშელავათონი. შელავათიანები ჩაირიცხაბიან კადრში მხოლოდ უშელავათოთა ნაკლულოვანობის შემთხვევაში.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

147. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში პირველ რიგში ჩაირიცხებიან უშელავათონი.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

148. სამხედრომსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით ჩაირიცხებიან მიღებულები მიუხედავთ იმისა, აქვთ თუ არა შელავათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობაზე.



149. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღებულთა საზღვრულ რიცხვის ჩარიცხვა კადრში ან სამხედრო მსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარის გარეშე წესით, ტერიტორიალური ნაწილების შევსების რაიონების გარეშე, სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის განკარგულებით შეიძლება გადავადებული იქნეს გაწვევის წლის 15-დეკემბრამდე.

150. სამსახურში მიღების შემდეგ კადრში დანიშნულები ოჯახის საქმეების მოსაგვარებლად გამწვევ კომისიის მიერ დაითხოვებიან მოკლევადიან შვებულებაში არა ნაკლებ სამი დღის ვადით.

შვებულების გათავების შემდეგ კადრში დანიშნულები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე ნაწილში გადასაგზავნათ. შესაკრებ პუნქტზე გამოცხადების მომენტიდან ისინი კვებას ლებულობენ სახელმწიფოს ხარჯზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამხედრო ოლქების ჯარების სარდლების მიერ დაწესებულ შემთხვევებში კადრში დანიშნულები შეიძლება გადაგზავნილი იქნან ნაწილში მოკლევადიან შვებულებაში დაუთხოვნელადაც.

151. თუ განწესის შესრულების შემდეგ, მაგრამ მორიგი გაწვევის დამთავრებამდე, გამოცხადდება გასაწვევი, რომელსაც გაწვევაზე დაავიანდა, ან დაბრუნდება სამკურნალო დაწესებულებაში გამოსაცდელად გადაგზავნილი გასაწვევი, მაშინ სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შემთხვევაში, ის საერთო წესის მიხედვით დაი-



ნიშნება კადრში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, ან სამხედრო მსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით.

ამ შემთხვევაში კადრში ან ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში დანიშვნა ხდება განაწესის ანგარიშში.

152. მორიგ შეკრების დამთავრების შემდეგ გამოცხადებული გასაწვევი, მაგრამ გასაწვევ წლის 31-დეკემბრამდე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შემთხვევაში, საერთო წესის საფუძვლებზე დაინიშნება კადრში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან სამხედრო მსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარის გარეშე წესით.

ამ შემთხვევაში კადრში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, დანიშვნა ხდება განაწესის ანგარიშს ზევით.

153. გაწვევის წლის 31-დეკემბრის შემდეგ გამოცხადებული გასაწვევი ვალდებულია გამოცხადდეს ხელახლა შემდეგ მორიგ გაწვევაზე.

თუ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შემთხვევაში, ის დაინიშნება საერთო წესით კადრში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან სამხედრო მსახურთა კატეგორიაში, რომელნიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით.

არა საპატიო მიზეზებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას ერთმევა შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით, ხოლო სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შემთხვევაში, ინიშნება კადრში ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

154. გასაწვევი პირი, რომელიც მორიგი გაწვევის დროს გამოძიების ან სასამართლოს ქვეშ იმყოფება, ვალდებულია გამოცხადდეს გაწვევაზე, თუ ის ამ დროს არ არის მოთავსებული თავისუფლების აღკვეთის ადგილას, მაგრამ ის ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიღება მხოლოდ სათანადო საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების თანხმობის შემთხვევებში. ასეთი თანხმობის უქონლობისას ამგვარი გასაწვევი სამსახურში არ მიიღება მორიგი გაწვევამდე, რომელიც მოსდევს საქმის წარმოების დამთავრების მომენტს.

155. გასაწვევი, რომელიც მორიგი გაწვევის დროს იხდის სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთას უფლებების შეუზღუდველად ან განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ განაჩენი ამ დროისათვის კანონიერ ძალაში არ შესულა, ვალდებულია გამოცხადდეს თავისუფლების აღკვეთის მოხდის მომენტს მომდევნო მორიგ გაწვევაზე. თავისუფლების აღკვეთის განაჩენის გაუქმების საქმის მოსპობით, ან თავისუფლების აღკვეთის შეცვლის სოციალური დაცვის და სხვა ზომით, რაც არ აბრკოლებს გაწვევაზე გამოცხადებას.

156. გასაწვევი, რომელიც მორიგ გაწვევის დროს იხდის იძულებითი სამუშაოს თავისუფლების შეუქმნელად, ან განაჩენით მისჯილი აქვს ასეთი იძულებითი მუშაობა, ხოლო განაჩენი კი ამ დროისათვის კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში, ვალდებულია გამოცხადდეს მორიგ გაწვევაზე, რომელიც მოსდევს იძულებით მუშაობის მოხდის მომენტს, განაჩენის გაუქმებას საქმის შეწყვეტით ან იძულებითი მუშაობის შეცვლას სოციალურ დაცვის ისეთი ზომით, რაც არ აბრკოლებს გაწვევაზე გამოცხადებას.

157. რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის ის მომუშავენი და აგრეთვე გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოს თანამშრომელნი, რომლებიც საერთო წესის მიხედვით უნდა ჩარიცხულიყვენ ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, ამის ნაცვლად ჩაირიცხებიან კადრში ან სამხედრო მსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით.

თ ა ზ ი IV

საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა გაწვევა

158. საზღვარგარეთ მცხოვრები სსრ კავშირის მოქალაქენი ნამდვილ სამხედრო სამსახურის მორიგ გაწვევაზე ვალდებული არიან გამოცხადდნენ სსრ კავშირის ტერიტო-

როაზე მცხოვრებ მოქალაქეებთან თანაბარ საფუძვლებზე
იმ გასაწევებ პუნქტებზე, რომლებზედაც ისინი მიწერილი
არიან.

მათ შორის, რომლებიც სამხედრო სამსახურისათვის
უვარგისნი არიან ფიზიკური ნაკლულოვანობის გამო, შეი-
ძლება განთავისუფლებული იქნან გაწვევაზე გამოცხადე-
ბისაგან სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლე-
ბის ან კონსულების განკარგულებით.

159. საზღვარგარეთ მცხოვრები სსრ კავშირის მოქა-
ლაქენი, რომლებიც საპატიო მიზეზების მიხედვით თავს
დროზე ვერ გამოცხადებიან შორივ გაწვევაზე, ვალდე-
ბული არიან წარმოადგინონ გამოუცხადებლობის საპატიო
მიზეზის დამადასტურებელი საბუთები და გამოცხადდენ
შემდეგ შორივ გაწვევაზე.

კ ა რ ი X

უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებათა და ტექნიკუმებში და აგრეთვე უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების, ტექნიკუმების, მუშათა ფაკულტეტების, მე-2 საფეხურის სკოლების და სხვა შესაფერისი სამოსწავლო დაწესებულებების დამთავრებულების მხრივ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის თავისებურებანი.

თ ა ვ ი I

უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება

160. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში მოსწავლე მშრომელნი ვადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მზადებას. ეს მზადება არის ნამდვილი სამხედრო სამსახური და მათთვის შემცვლელია კადრში ვადიან სამსახურის.

161. უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება შესდგება სამხედრო საქმის თეორიული კურსისაგან, რომელსაც ვადიან ამ სამოსწავლო დაწესებულებაში, და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებში სამოსწავლო შეკრებებისაგან.



ჯარის სახის მიხედვით, თეორიული კურსი, რომელიც
 თაც ტარდება უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება, გრძელ-
 დება 430 ან 580 საათი, ხოლო სამოსწავლო შეკრებები
 3 ან 4 თვე.

162. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომი-
 სარიატის მიერ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღ-
 ლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ცალკე უმაღლეს სამოსწავ-
 ლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში ყველა მოსწავ-
 ლეთათვის ან ამა თუ იმ ფაკულტეტის განყოფილებების
 სპეციალიზაციის მოსწავლეთათვის შეიძლება შემოღებუ-
 ლი იქნეს უმაღლესი სამხედრო საწარმოო მზადება.

უმაღლესი სამხედრო საწარმოო მზადება შესდგება სა-
 მხედრო საქმის თეორეტიული კურსისაგან 330 სამოსწავ-
 ლო საათების ხანგრძლივობით და თვენახევრიან მუშურ-
 გლებური წითელი არმიის ნაწილებში სამოსწავლო შე-
 კრებისაგან.

163. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისა-
 რიატს უფლება აქვს შეამციროს 161 და 162 მუხლებში
 აღნიშნული უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების ვადები,
 როგორც სამხედრო საქმის თეორეტიული კურსის ნაწილ-
 ში ისე სამოსწავლო შეკრებების ნაწილში.

164. უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების წესს და ამ
 მზადების პროგრამას ადგენს სამხედრო და საზღვაო საქ-
 მეთა სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის და მოკავშირე
 რესპუბლიკების იმ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმე-



ბით, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან სათანადო სამოსწავლო დაწესებულებები.

165. იმ სამოსწავლო დაწესებულებების სიებს, რომელთა მოსწავლეთათვის შემოიღება უმაღლეს ჯარისგარეშე მზადება, ადგენს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების იმ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაშიც შედიან სათანადო სამოსწავლო დაწესებულებები.

ამავე წესით მყარდება უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების შემოღების ვადებიც.

უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში, რომელშიდაც შემოღებულია უმაღლეს ჯარისგარეშე მზადება, კურსის საერთო ხანგრძლივობა გრძელდება 4-დან 6 თვის ფარგლებში.

166. იმ უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების და ტექნიკუმების მოსწავლეები, რომლებშიდაც არ არის შემოღებული უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება, წვევამღე მზადებას გადიან მუშათა ფაკულტეტების, მე-2 საფეხურის სკოლების და მათი შესაფერი სამოსწავლო დაწესებულებების მოსწავლეებთან თანაბარ საფუძვლებზე.

167. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებათა და ტექნიკუმების ის მოსწავლეები, რომლებმაც უნდა გააარონ უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება, ტარდებიან საექიმო შემოწმებაში. ეს შემოწმება ტარდება კომისიების მიერ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — ადგი-



ლობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოს წარმომადგენელი, წევრებათ. მოსწავლეთა ორგანიზაციის წარმომადგენელი და ორი სამოქალაქო ექიმი (მათ შორის ამ სამოსწავლო დაწესებულების ექიმი).

შემოწმება სწარმოებს უფროსთა შემადგენლობის შესამოწმებლად შემოდებულ ავადმყოფობათა ცხრილის და წესების თანახმად.

168. საექიმო შემოწმების საფუძვლებზე, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) სამწყობრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შესახებ;
- ბ) უმწყობრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შესახებ;
- გ) სამხედრო სამსახურისათვის სრულიად უვარგისობის შესახებ..

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოსწავლე, რომელიც გამოდვა სამხედრო სამსახურისათვის სრულიად უვარგიაო, თავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან და ამოირიცხება სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვიდან.

169. სამხედრო საქმის თეორეტიული კურსის გასავლელად უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების და ტექნიკუმების მოსწავლეები მოწვეული იქნებიან ხნოვანობისა და მათი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის მიუხედავად.



სამოსწავლო შეკრებებზე მოწვეული იქნებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც ვარჯისი არიან მწყობრო ან უმწყობრო სამსახურისათვის.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

170. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში მოსწავლე საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი და თადარიგელნი არ გადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მზადებას.

ეს პირები ამ სამოსწავლო დაწესებულებებში უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების ჩატარებისათვის მოწვეული იქნებიან როგორც ინსტრუქტორები.

171. უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში მოსწავლე რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი და თადარიგელნი გადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მზადებას საერთო საფუძვლებზე.

172. უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების გავლილი პირები (უმაღლეს სამხედრო-საწარმოო მზადების გარდა) უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების დამთავრების შემდეგ, დადებითი ატესტაციის ქონების შემთხვევაში, აბარებენ გამოცდას თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე.

გამოცდის წესი და პროგრამა წესდება სამხედრო და საწარმოო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ.

უმაღლეს სამხედრო-საწარმოო მზადების გავლილი პირები, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დადებითი

ატესტაციის ქონების შემთხვევაში, ღებულობენ თადარიგის საშუალო უფროს შემადგენლობის წოდებას, აგრეთვე კვალიფიკაციის გამოცდის ჩაუბარებლად.

თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდების მიღებული პირები, შემდეგ სამხედრო სამსახურს გადიან XI კარის თანახმად ყველა თადარიგ საშუალო უფროსთა შემადგენლობასთან თანაბარ საფუძვლებზე.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

173. ის პირები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდას თადარიგ საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე, ორი თვის შემდეგ აბარებენ ხელმეორე გამოცდას, იმ საგნებში, რომლებიც ვერ იქნა ჩაბარებული პირველი გამოცდის დროს.

ისინი, რომლებმაც ვერ ჩააბარეს ხელმეორე გამოცდა და აგრეთვე არ იქნენ დაშვებული გამოცდაზე საატესტაციო წესით, კარგავენ უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების გავლილთა უფლებებს და გაიწვევიან საერთო საფუძვლებზე მუშათა ფაკულტეტის, მე-2 საფეხურის სკოლების და სხვა მათი შესაფერი სამოსწავლო დაწესებულებების დამთავრებულებთან საერთო საფუძვლებზე.

174. იმ პირებმა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე და გამოსთქვეს სურვილი კადრში სამსახურში შესვლაზე, შეიძლება დანიშნული იქნან საშუალო უფროსთა შემადგენლობის თანამდებობაზე, ხოლო საშუალო უფროსთა



შემადგენლობისა ვაკანსიის უქონლობისას ზედმეტ ვადრინგულ
სამსახურის უმცროს შემადგენლობის თანამდებობაზე.

კადრის სამსახურში შემოსულ პირებს უფლება აქვთ
ჩააბარონ გამოცდა სამხედრო სკოლის სრულ კურსზე.
ასეთი გამოცდების ჩამბარებლები სარგებლობენ სამხედ-
რო სკოლადამთავრებულთა მთელი უფლებებით.

175. თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის
წოდებაზე გამოცდის ჩამბარებელ პირს უფლება აქვს შე-
ვიდეს უგამოცდოთ სამხედრო სკოლის უფროს კურსზე.

(176. მუხ. ამორიცხულია სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50,
მუხ. 331)

177. უმაღლეს სამხედრო-საწარმოო მზადების გავლილ
პირთა სამუშაოზე გაგზავნის დროს, ახალგაზრდა სპეცია-
ლისტთა მოწყობის კანონის თანახმად, სსრ კავშირის სა-
ხალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ათანხმებს მათ და-
ნიშვნას სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისა-
რიატთან.

178. ის პირები, რომლებიც უმაღლეს სამოსწავლო და-
წესებულებებსა (სამოქალაქო) სწავლების დროს სარგებ-
ლობდნენ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომი-
სარიატის სახელმწიფო სტიპენდიებით, ვალდებული არიან
იმსახურონ როგორც უფროსთა შემადგენელი კადრში ან
მარქაფში წელიწადნახევარი — სტიპენდიით სარგებლო-
ბის თითო წლისათვის. ამასთანავე ექვს თვეზე მეტი დრო

ითვლება ერთ წელიწადათ, ხოლო ექვს თვეზე ნაკლებზე
დრო მხედველობაში არ მიიღება.



თ ა ვ ი II

იმ მოქალაქეთა ნამდვილი სამხედრო სამსახური, რომლებმაც დაამთავრეს მუშათა ფაკულტეტები, მე-2 საფეხურის სკოლები (არა ნაკლებ 9 წლის სწავლების კურსით) და მათი შესაფერისი სამოსწავლო დაწესებულებები, აგრეთვე უმაღლესი სამოსწავლო დაწესებულებები და ტექნიკუმები, რომელშიდაც არ არის შემოღებული უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება.

179. ის მშრომელები, რომლებმაც დაასრულეს მუშათა ფაკულტეტები, მე-2 საფეხურის სკოლები (არა ნაკლებ 9 წლის სწავლების კურსით) და მათი შესაფერი სამოსწავლო დაწესებულებები და აგრეთვე უმაღლესი სამოსწავლო დაწესებულებები და ტექნიკუმები, რომელშიდაც არ არის შემოღებული უმაღლესი ჯარისგარეშე მზადება, გაიწვევიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევისათვის დაწესებულ ვადებში.

ამ პირებმა საექიმო შემოწმება უნდა გაიარონ უფროსთა შემადგენლობის პირების შესამოწმებლად შემოღებულ ავადმყოფობათა ცხრილის და წესების თანახმად.

180. წინა მუხლში აღნიშნული პირები როგორც წესი ინიშნებიან კადრში.



ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან სამხედრომსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით, შეიძლება დანიშნულ იქნან აღნიშნულ პირთაგან ისინი, რომელთაც მინიჭებული აქვთ შეღავათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით და აგრეთვე ისინიც, რომელნიც ცნობილი იქნებიან ვარგისად უმწყობრო სამსახურსათვის ომიანობის დროისპირობებში.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან სამხედრომსახურთა კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით, შეიძლება ჩაირიცხონ აგრეთვე 179 მუხლში აღნიშნული სხვა პირებიც.

181. მე-179 მუხლში აღნიშნული პირები მათი სურვილის შემთხვევებში, გამწვევ კომისიის მიერ შეიძლება გაგზავნილი იქნან სამხედრო სკოლებში, თუ კი ისინი გაიწვევიან არა უგვიანეს ამ სკოლების მორიგ შევსებისა.

182. მე-179 მუხლში აღნიშნული პირები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადიან კადრში, განუწყვეტელ სამსახურის ერთი წლის, ფლოტში კი ორი წლის განუწყვეტელ სამსახურის ვადის გავლის შემდეგ, დადებით ატესტაციის ქონების შემთხვევაში, აბარებენ გამოცდას თაღარიგ საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე, წესი და პროგრამა გამოცდების წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ.

შენიშვნა: ის პირები, რომლებმაც დაამტკიცეს ეს უმაღლესი საექიმო და სავეტერინარო სამოსწავლო დაწესებულებები და ტექნიკუმები, სადაც არ არის შემოღებული უმაღლეს ჯარისგარეშე მზადება, გაივლიან გამოცდას თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე ერთი წლის ვადის გავლის შემდეგ, ჯარების სახის მიუხედავად, რომელშიდაც ისინი სამსახურს გადიან.

183. ის პირები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდას თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე, ორი თვის შემდეგ აბარებენ ხელმეორე გამოცდას იმ საგნებში, რომელიც ვერ იქნა ჩაბარებული პირველი გამოცდის დროს.

ვინც განმეორებითი გამოცდას ვერ ჩააბარებენ, და აგრეთვე არ იქნებიან დაშვებულნი გამოცდაზე საატესტაციო წესით, განაგრძობენ განუწყვეტელ სამსახურს კადროში, ამ სახის ჯარებისათვის დაწესებულ განუწყვეტელ სამსახურის სრული ვადის დასრულებამდე.

184. ის პირები, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე, დათხოვნილი იქნებიან გრძელვადიან შვებულებაში და გაივლიან შემდეგ სამხედრო სამსახურს საშუალო უფროსთა შემადგენლობასთან საერთო საფუძვლებზე მე-11 კარის თანახმად.

185. ის პირები, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა თადარიგის საშუალო უფროსთა შემადგენლობის წოდებაზე და

გამოსთქვეს სურვილი კადრში სამსახურში დარჩენაზე, შე-
იძლება დატოვებული იქნან უმცროს უფროსთა შემადგენ-
ლობის თანამდებობაზე ზედმეტვადიან სამსახურის უფ-
ლებებით ან საშუალო უფროსთა შემადგენლობის თანა-
მდებობაზე.

სამსახურში დარჩენილ პირებს უფლება აქვთ ჩააბარონ
გამოცდა სამხედრო სკოლის სრულ კურსზე. ამ გამოცდის
ჩამბარებლები სარგებლობენ სამხედრო სკოლის დამთავ-
რებულთა ყველა უფლებებით.

186. 179 მუხლში აღნიშნული პირები თუ კი გამო-
სთქვამენ სურვილს კადრში ვადიან სამსახურში ყოფნის
დროს სამხედრო სკოლაში შესვლაზე, ამ სკოლების მო-
რიგი შევსების დროს მივლინებული იქნებიან იქ პირველ
რიგში.

კ ა რ ი XI

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამსახური

თ ა ვ ი I.

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლო-
ბის ნამდვილი სამხედრო სამსახური

187. საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემა-
დგენლობის სამხედრომსახურნი ნამდვილ სამხედრო სა-
მსახურს გადიან:

- ა) კადრში;
- ბ) უფროსთა შემადგენლობის მარჯაფში;
- გ) გრძელვადიან სვებულებაში;
- დ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

188. ნამდვილ სამხედრო სამსახურს მარჯაფში გადიან საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ის სამხედრომსახურნი, რომლებიც დროებით მივლინებული არიან კადრებიდან სამოქალაქო დაწესებულებათა და წარმოებებში სამხედრო ხასიათის მუშაობისათვის.

189. მარჯაფში მყოფ სამხედრომსახურთა სამოქალაქო დაწესებულებათა და წარმოებებში თანამდებობაზე დანიშნა აგრეთვე ამ დაწესებულებებში და წარმოებებში მათი შემდეგი გადაყვან-გადმოყვანა და სამსახურიდან დათხოვნა სწარმოებს სათანადო უწყების ხელმძღვანელთა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებულ განკარგულებით.

190. მარჯაფში მყოფი სამხედრო მსახურნი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით შეიძლება გაწვეული იქნენ კადრში სამსახურისათვის ყოველ დროს.

191. მარჯაფში მყოფი სამხედრომსახურნი გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე, მანევრებზე და სხვა სამოსწავლო მეცადინეობებზე თადარიგის უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურებთან თანაბარ საფუძვლებზე.



192. საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის სამხედრომსახურნი ნამდვილ სამხედრო მსახურს გრძელვადიან შვებულებაში გადიან კადრიდან, მარქაფიდან ან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობიდან დათხოვნის შემდეგ, ნამდვილ სამხედრო მსახურში ყოფნის განსაზღვრულ პასაკის მიღწევამდე.

ეს სამხედრომსახურნი გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე, მანევრებზე და სხვა სამოსწავლო მეცადინეობებზე თადარიგ უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურებთან თანაბარ საფუძვლებზე.

193. კადრიდან, მარქაფიდან და აგრეთვე უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების დამთავრების შემდეგ გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნილნი საშუალო, უფროსი და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი შეიძლება ჩარიცხული იქნან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად უფროსთა შემადგენლობაში.

194. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულნი საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებებზე, მანევრებზე და სხვა სამოსწავლო მეცადინეობებზე საერთო ხანგრძლივობით არა უმეტეს თექვსმეტი თვისა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა.

შეკრებათაშორისო პერიოდებში ისინი შეიძლება გაწვეული იქნან თავიანთ მეთაურების მიერ ცალკე სამხედ-



რო დავალებათა და მიცემულებათა შესასრულებლად ვის საცხოვრებელ ადგილის და მუშაობისაგან მოუწყვეტ-
ლად. გამონაკლის შემთხვევებში (სტიქიური უბედურება-
ნი, ბანდიტიზმის გავრცელება და სხვ.) დივიზიის მეთაუ-
რის განკარგულებით ეს სამხედრომსახურნი შეიძლება და-
ბრუნებული იქნან თავიანთ ნაწილებში და დატოვებულნი
იქ საჭიროების განვლამდე.

195. სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებებ და-
დამთავრებულნი უფროსთა შემადგენლობის სამხედრო-
მსახურნი მიღებულ სწავლისთვის ვალდებული არიან
იმსახურონ კადრში ან მარქაფში. სავალდებულო სამსა-
ხურის ვადები წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა
სახალხო კომისარიატის მიერ, მაგრამ არა უმეტეს ორი
წლისა უმაღლეს სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებებ-
ში თვითეული წლის სწავლებისათვის და წელიწადნახე-
ვარი — სამხედრო სკოლაში თვითეულ წლის სწავლები-
სათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო სამსა-
ხურის მოხდის ვადა სცილდება მე-11 მუხლში დაწესებულ
საზღვრებს, ნამდვილი სამხედრო სამსახური გრძელდება
სავალდებულო სამსახურის მოხდის დამთავრებამდე.

196. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისა-
რიატს უფლება აქვს:

ა) დაითხოვოს საშუალო, უფროსი, და უმაღლესი უფ-
როსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი კადრიდან ან
მარქაფიდან — გრძელვადიან შევბულებაში ნამდვილ სა-
მხედრო სამსახურში ყოფნისას განსაზღვრულ ხნოვანობის



მიღწევამდე ან სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებაში მიღებულ სწავლისათვის სავალდებულო სამსახურის მოხდის ვადამდე;

ბ) დაითხოვოს საშუალო, უფროსი და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი თადარიგში ან დაითხოვოს სრულიად სამსახურიდან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის განსაზღვრულ ხნოვანობის მიღწევამდე ან სამხედრო სამოსწავლო დაწესებულებაში მიღებულ სწავლისათვის სავალდებულო სამსახურის მოხდის ვადამდე;

გ) დააკავოს საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენლობა ნამდვილ სამხედრო სამსახურში კადრში, მარჯაფში ან ტერიტორიულ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში იმ ვადით, რაც არ სცილდება ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის განსაზღვრულ ხნოვანობას.

თ ა ვ ი ი

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის თადარიგი

197. ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნისას განსაზღვრული ხნოვანობის მიღწევის შემდეგ საშუალო, უფროსი და უმაღლეს შემადგენლობის სამხედრომსახურნი დაითხოვებიან უფროსთა შემადგენლობის თადარიგში.

თადარიგში ისინი იმყოფებიან სავალდებულო სამსახურში
სამსახურში ყოფნის განსაზღვრულ ხნოვანობის მიღწევა-
მდე, სახელდობრ:

ა) საშუალო უფროსთა შემადგენლობა — ორმოცდაათ
წლამდე;

ბ) უფროსი უფროსთა შემადგენლობა — ორმოცდა-
ხუთმეტ წლამდე;

გ) უმაღლესი უფროსთა შემადგენლობა — სამოც
წლამდე.

198. საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემა-
დგენლობის თადარიგელნი გაიწვევიან სამოსწავლო შე-
კრებებზე, მანევრებზე და სხვა სამოსწავლო მეცადინეო-
ბებზე, აგრეთვე როგორც ინსტრუქტორები წვევამდე ან
ჯარისგარეშე მზადებისათვის, საერთო ვადით არა უმეტეს
თორმეტი თვისა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში არა
უმეტეს ორი თვისა.

199. საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემა-
დგენლობის თადარიგელნი, მათთვის დაწესებულ შეკრე-
ბების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობების
ნაცვლად შეიძლება გაწვეული იქნან შეკრებებზე იმავე
ვადით, რაც დაწესებულია ტერიტორიალური ნაწილების
ცვალებად შემადგენლობის უფროსთა შემადგენლობი-
სათვის.

200. თადარიგელ უფროსთა შემადგენლობის ის პირე-
ბი, რომლებმაც გაიარეს უმაღლესი სამხედრო-საწარმოო
მზადება (162 მუხ.) სამოსწავლო შეკრებებს გადიან სა-

მრეწველო საწარმოებებში. ისინი შეიძლება მიიქნან სამრეწველო საწარმოებებზე.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

კ ა რ ი XII

მოხალისეთ შესვლა საკადრო სამსახურში

თ ა ვ ი I

მოხალისეთ შესვლა რიგის შემადგენლობის ვადიან სამსახურში

201. მშრომლებს, რომლებსაც გასაწვევ ჰასაკისათვის არ მიუღწევიათ, ხოლო არა ნაკლები თვრამეტი წლისა (სამხედრო სკოლაში შესვლისას არა ნაკლები ჩვიდმეტი წლისა), და აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურთ, სამხედრომსახურთ, რომლებიც სამსახურს ვადიან ჯარის გარეშე წესით, შეუძლიათ შევიდნენ ვადიან სამსახურში კადრში მოხალისეთ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ წესების თანახმად.

202. წინა მუხლის თანახმად ვადიან სამსახურში არ მიიღებიან მშრომელნი:

ა) რომლებსაც მორიგ გაწვევამდე დარჩათ ექვს თვეზე ნაკლები დრო, სამხედრო სკოლებში შემავალთა გამონაკლისით;

- ბ) გამოძიების და სასამართლოს ქვეშ მყოფნი;
- გ) ვინც იხდის იძულებითი სამუშაოს;
- დ) ვისაც ეხება მე-28 მუხ. მეორე ნაწილში აღნიშნული ნიშნები;
- ე) ჯანმრთელობის მდგომარეობით უვარგისი კადრში სამსახურისათვის.

203. ვადიან სამსახურში მოხალისედ შესული სამხედრომსახურნი, ვალდებული არიან იმსახურონ იმ ვადის განმავლობაში, რაც დაწესებულია სათანადო სახის ჯარისათვის.

• ეს სამხედრომსახურნი დაითხოვებიან მორიგ დათხოვასთან ერთად. ვადაზე ადრე შეიძლება დათხოვნილი იქნან მხოლოდ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

თ ა ვ ი ი

ზედმეტვადიან რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობის სამსახურში მოხალისეთ შესვლა

204. კადრში ვადიან სამსახურის დასრულებიან შემდეგ რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობის პირები შეიძლება დატოვებული იქნან, გრძელვადიან შვებულებაში ან თადარიგში მყოფნი კი შეიძლება მიღებული იქნან, მათი სურვილის შემთხვევებში, კადრის ზედმეტვადიან სამსახურში.

205. წინა მუხლში აღნიშნული სამხედრომსახურნი თადარიგელნი ზედმეტვადიან სამსახურში შესვლისას იძლევიან ვალდებულებას იმსახურონ განსაზღვრულ დროის განმავლობაში, მაგრამ არა ნაკლებ ერთი წლისა.

იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც მათ უნდა ემსახურათ, ზედმეტვადიან მსახურნი, მათი სურვილის შემთხვევებში, შეიძლება დატოვებული იქნან სამსახურში ახალი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ორმოცდაათ წლის მიღწევისა.

ზედმეტვადიანი მსახურნი დაითხოვებიან ერთდროულად მორიგ დათხოვნასთან ერთად. ვადამდე ადრე შეიძლება დათხოვნილი იქნან მხოლოდ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

206. ზედმეტვადიან მსახურთა უმცროს უფროსთა შემადგენლობას უფლება აქვს ჩააბარონ გამოცდა სამხედრო სკოლის სრულ კურსზე. გამოცდის ჩამბარებლები სარგებლობენ ყველა ჯარის სკოლებ დამთავრებულთა უფლებებით.

207. რიგის შემადგენლობის ზედმეტვადიან მსახურთ უფლება აქვთ ჩააბარონ გამოცდა ჯარის სკოლის კურსზე. გამოცდის ჩამბარებლები სარგებლობენ ჯარის სკოლებ დამთავრებულთა ყველა უფლებებით.

208. უმცროს უფროსთა შემადგენლობის ზედმეტვადიან მსახურნი, რომლებმაც ზედმეტვადიან სამსახურში იმსახურეს არა ნაკლები სამი წლისა და თავიანთი მომზადებით, პოლიტიკური და მორალური თვისებებით ცნობილი არიან შესაფერისად ომიანობის დროს საშუალო უფ-



როსთა შემადგენლობის თანამდებობის დაკავებისათვის
 თადარიგში დათხოვნის დროს ენიჭებათ თადარიგის სა-
 შუალო უფროს შემადგენლობის წოდება.

209. რიგის შემადგენლობის ზედმეტვადიან მსახურნი,
 რომლებიც თავიანთი მომზადებით, პოლიტიკურ და მორა-
 ლურ თვისებებით ცნობილი არიან შესაფერისად ომიანო-
 ბის დროს უმცროს უფროსთა შემადგენლობის თანამდე-
 ბობების დაკავებისათვის, გრძელვადიან შვებულებაში ან
 თადარიგში დათხოვნისას, ენიჭებათ უმცროს უფროსთა
 შემადგენლობის წოდება.

210. რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობის
 ზედმეტვადიან სამსახურში არ მიიღებიან 202 შ. „ბ“, „გ“,
 „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული სამხედრომსახურნი
 და თადარიგელნი.

თ ა ვ ი III

საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენ-
 ლობათ კადრში მოხალისეთ შესვლა

211. გრძელვადიან შვებულებაში, ტერიტორიალური
 ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და თადარიგში
 მყოფნი საშუალო, უფროსი და უმაღლეს უფროსთა შე-
 მადგენლობის პირები, მათი სურვილის შემთხვევაში, შეი-
 ძლება მიღებული იქნან კადრის სამსახურში.

კადრის სამსახურში საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენლობა თანამდებობაზე შეიძლება მონახალისებად შევიდნენ აგრეთვე ის მშრომელები, რომლებიც არ იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

212. წინა მუხლში აღნიშნული პირები კადრის სამსახურში შესვლისას იძლევიან ვალდებულებას იმსახურონ განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, მაგრამ არა ნაკლები ვადისა. ეს პირები ვადამდე ადრე შეიძლება დათხოვნილი იქნან მხოლოდ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებით.

213. საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის კადრში მონახალისედ შესვლა არ შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც ნაჩვენები არიან 202 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში.

თ ა ვ ი XIII

14

მობილიზაციით გაწვევა

214. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მობილიზაცია გულისხმობს მისი სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანას.

215. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მობილიზაცია ცხადდება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

სამხედრომსახურთა და თადარიგელთა მობილიზაციით გაწვევა და შემდეგი მათი მუშურ-გლეხური წითელი არ-

მის შესავსებად გაწვევა ომიანობის დროს შემადგენლობაში წარმოებს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებით.

216. მობილიზაციით გაწვევის დროს:

ა) სამხედრომსახურნი და თადარიგელნი, რომლებიც ამ დროისათვის იმყოფებიან მუშურ-გლეხურ წითელი არმიის რიგებში, დაკავებული იქნებიან მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში;

ბ) კადრის სამხედრო მსახურნი, რომლებიც იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში დაუყოვნებლივ ცხადდებიან: ნაწილებზე მიწერილნი — ამ ნაწილებში, ნაწილებზე მიუწერელნი — უახლოეს შესაკრებ პუნქტებზე;

გ) შვებულებაში მყოფნი ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურნი — დაუყოვნებლივ ცხადდებიან თავიანთ ნაწილებში;

დ) უმაღლეს სამხედრო საწარმოო მომზადების გავლილი უფროსთა შემადგენლობის თადარიგელნი დაუყოვნებლივ ცხადდებიან: სამრეწველო საწარმოებებზე მიწერილნი — ამ საწარმოებებში, საწარმოებებზე მიუწერელნი — უახლოეს შესაკრებ პუნქტებზე;

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

ე) სამხედრომსახურნი, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით, ცხადდებიან დაუყოვნებლივ: ნაწილებზე მიწერილნი — ამ ნაწილებში, ნაწილებზე მიუწერელნი — უახლოეს შესაკრებ პუნქტებზე;



გ) თადარიგელნი, „ა“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნულ
ლების გამონაკლისით, ცხადდებიან დაუყოვნებლივ: ნაწი-
ლებზე მიწერილნი — ნაწილებში, ნაწილებზე მიუწე-
რელნი — უახლოეს შესაკრებ პუნქტებზე.

217. მობილიზაციით განსაკუთრებულ წესით გაიწვე-
ვიან:

ა) ვინც ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადის ჯარის-
გარეშე წესით, და აგრეთვე გრძელვადიან შვებულებაში
და რიგის და უფროსთა შემადგენლობაში მყოფნი:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ცენ-
ტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წევრები, ავტო-
ნომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ
კომიტეტების თავმჯდომარეები და წევრები.

2. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რეს-
პუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომა-
რეები და თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის,
მოკავშირე რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლი-
კების სახალხო კომისრები, მათი მოადგილეები და სახალ-
ხო კომისარიატების კოლეგიის წევრები, საერთო საკავ-
შირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი მოკავში-
რე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და
მათი მოადგილეები.

3. შრომის და თავდაცვის საბჭოს წევრები, მოკავშირე
რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოების (თათბირების)
თავმჯდომარეები და მათი მოადგილენი, სსრ კავშირის
და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კო-

მისიების პრეზიდენტების თავმჯდომარეები და წევრები

4. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეს მოადგილენი, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოების კოლეგიების თავმჯდომარეები.

5. სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორი, მისი მოადგილე და უფროსი თანაშემწე.

6. სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეები.

7. გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოების და მათი ადგილობრივი ორგანოების მომუშავენი.

8. სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობათა საკონსულოების შტატის თანამშრომლები.

ბ) სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდენტების წევრები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით, იმყოფებიან რიგის შემადგენლობის გრძელვადიან შვებულებაში და თადარიგში, აგრეთვე უფროსთა შემადგენლობის თადარიგში 10 კატეგორიამდე ჩათვლით;

გ) ჯარისგარეშე წესით ნამდვილ სამხედრო სამსახურის გამვლელნი, რიგის შემადგენლობის გრძელვადიან შვებულებაში და თადარიგში მყოფნი, და აგრეთვე უფ

თემატიკა

როსთა შემადგენლობის თაღარიგში მყოფნი მე-9 კატეგორიამდე ჩათვლით:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წევრობის კანდიდატები, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წევრები და წევრობის კანდიდატები.

2. სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორის თანაშემწენი (უფროს თანაშემწეთა გამოკლებით).

დ) ჯარისგარეშე წესით ნამდვილ სამხედრო სამსახურის გამვლენი, რიგის შემადგენლობის გრძელვადიან შვებულებაში და თაღარიგში მყოფნი და აგრეთვე უფროს შემადგენლობის თაღარიგში მყოფნი მე-8 კატეგორიამდე ჩათვლით:

1. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეები,

2. საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმის წევრები.

218. მობილიზაციით გაწვეულნი სამხედრომსახურნი და თაღარიგენი, მათი სამხედრო სამსახურისათვის ფიზიკური ვარგისიანობის გამოსარკვევად, ტარდებიან საექიმო შემოწმებაში შესაკრებ პუნქტებზე ან სამხედრო ნაწილებში.

219. მობილიზაციით გაწვეულნი გადმოყვანილი იქნებიან პირველ შესაკრებ პუნქტებიდან — საერთო შესაკრებ პუნქტებზე, სამხედრო ნაწილებში და სამრეწველო დაწესებულებებში, როგორც ვზატკეცილებით და ყამირგზე-

ბით, ისე რკინის გზებით და წყალსაველ გზებით, სანაოსნო მშენებლობა.

220. ომიანობის დროს სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა განუწყვეტელ მუშაობის უზრუნველსაყოფად, მასში მომუშავე გრძელვადიან შევებულებაში მყოფ სამხედრომსახურებს, სამხედრომსახურებს, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით და თადარიგელებს ენიჭებათ მობილიზაციით გაწვევის გადავადება.

221. მობილიზაციით გაწვევის გადავადება ენიჭებათ მხოლოდ იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთა მოხსნამ მუშაობიდან მობილიზაციის დროს და ომიანობის დროს შეიძლება გამოიწვიოს წარმოებათა და დაწესებულებათა მუშაობის მოშლა, ან დააბრკოლებს ომიანობის დროის მოთხოვნილებებთან შეფარდებით მუშაობის გაშლას.

222. სამხედრომსახურნი და თადარიგელნი, რომლებმაც მიიღეს გადავადება, თავისუფლდებიან მობილიზაციით გაწვევაზე გამოცხადებისაგან.

223. გადავადების მოქმედება სწყდება იმ შემთხვევაში, თუ მუშა ან მოსამსახურე დატოვებს იმ სამუშაოს, რომლის დაკავშირებით ის სარგებლობდა გადავადებით.

224. მობილიზაციით გაწვევის გადავადებას ანიჭებს ცენტრებში და ადგილებზე განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიები. ეს კომისიები მოქმედობენ შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებულ საფუძვლებზე.

225. ომიანობის დროს მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განუწყვეტელ მუშაობის უზრუნველსაყოფად, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს უფლება აქვს დაითხოვოს სამხედრომსახურნი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან სათანადო ორგანოების განკარგულებაში, მათთვის — მრეწველობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშაობის დროის განმავლობაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გაწვევის გადავადების მინიჭებით.

226. სამხედრომსახურთა და თადარიგელთა შემდეგი გაწვევა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ომიანობის დროის შემადგენლობის შემდეგი შევსებისათვის ტარდება მობილიზაციით გაწვევის თანაბარ საფუძვლებზე.

227. მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო მომზადების შემოწმებისათვის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებით შეიძლება ჩატარებული იქნეს შემოწმებელი და საცდელი მობილიზაციები. ამ მობილიზაციების წესი და ვადები წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მიერ, ისე, რომ ყოველთვის გასაწვევ რაიონების რიცხვი მტკიცდება შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ.

228. ომიანობის დროს მორიგ გაწვევების ჩატარებისას — სამოქმედოთ შემოღებული იქნება საერთო წესიდან შემდეგი გამონაკლისი:

ა) მე-7 კარში აღნიშნული შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით და მე-8 კარში აღნიშ-



ნული მორიგი გაწვევის გადავადება გასაწვევებში
 ეძლევათ;

ბ) ყველა სამხედრო (სამწყობრო და უმწყობრო) სა-
 მსახურისათვის ვარგისნი დაინიშნებიან ჯარების ნაწი-
 ლებში;

გ) გასაწვევებს შეიძლება მიენიჭოთ გადავადება მობი-
 ლიზაციით გასაწვევებთან თანაბარ საფუძვლებზე.

კ ა რ ი XIV

სამხედრომსახურითა და სამხედროვალდებულ- თა უფლება, მოვალეობა და კანონისმამკლობა

229. სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი
 სამხედრო სამსახურის მოხდის მთელი დროის განმავლო-
 ბაში სარგებლობენ მთელ იმ უფლებებით, რაც მოკავ-
 შირე რესპუბლიკების კონსტიტუციების და სსრ კავში-
 რის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონების თა-
 ნახმად მინიჭებული აქვთ მშრომელებს, რამდენადაც ეს
 კანონი მათთვის არ აწესებს სამხედრო სამსახურიდან გა-
 მომდინარე გამონაკლისებს.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ყოფნის
 დროს ისინი აგრეთვე სარგებლობენ განსაკუთრებული
 უფლებებით და ასრულებენ განსაკუთრებულ მოვალეო-
 ბებს, რაც გამომდინარეობს სამხედრო სამსახურის განსა-
 კუთრებულ პირობებიდან.

230. მუშურ-გლებური წითელი არმიის რიგებში მუშაობის
ნი სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი თავის-
უფლდებიან სამხედრო სამსახურის მოვალეობების შე-
სრულებისაგან იმ დროით, რაც საჭიროა:

ა) საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად,
და არჩეულ თანამდებობის მოვალეობის შესასრულებლად
საბჭოებში;

ბ) როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა იმ ყრა-
ლობებსა, კონფერენციებსა და კრებებზე, რომელიც მო-
წვეული იქნება საბჭოთა ხელისუფლებების ორგანოების
შიერ;

გ) მონაწილეობის მიღებისათვის სასამართლოს ორგა-
ნოთა მუშაობაში სახალხო მსაჯულად, სამხედრო ტრიბუ-
ნალების დროებით წევრად, და საზოგადო ბრალმდებ-
ლად;

დ) სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოებში გა-
მოცხადებისათვის ბრალდებულის, მოწმის, ექსპერტის და
თარჯიმანის სახით, გამოწვევის შემთხვევებში;

ე) როგორც წარმომადგენლის მონაწილეობის მისაღე-
ბად ყრილობებსა, კონფერენციებსა და კრებებზე, რომე-
ლიც მოწვეული იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაციე-
ბის შიერ — თვითეულ ცალკე შემთხვევაში ნაწილის მე-
თაურის განსაკუთრებული ნებართვით.

ომიანობის დროს, აგრეთვე მშვიდობიანობის დროსაც
იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია განსაკუთრებუ-
ლი ან სამხედრო მდგომარეობა და ჯარების მოწვევის



შემთხვევაში ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებასთან
 ორგანოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ეს სამხედ-
 რომსახურნი და სამხედროვალდებულნი თავისუფლდე-
 ბიან სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან
 „ა“ — „დ“ პ. პ. აღნიშნულ მიზეზების მიხედვით, მხო-
 ლოდ ყოველ ცალკე შემთხვევებში ნაწილის მეთაურის
 განსაკუთრებული ნებართვით, მეთაურს შეუძლია უარი
 სთქვას განთავისუფლებაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ
 ის გამოიწვევს სამსახურის ინტერესების არსებით და-
 რღვევებს.

231. სამხედრომსახურთ შეუძლიან აღძრან შუამდგომ-
 ლობა სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ
 მხოლოდ მის მიერ ნამდვილ სამხედრო სამსახურის მო-
 ხდის შემდეგ, ან მათი სამხედრო სამსახურიდან სრულიად
 დათხოვნის შემდეგ.

232. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ყოფ-
 ნის დროს სამხედრომსახურთ და სამხედროვალდებულთ
 ეკრძალებათ როგორც დაქირავებული სამუშაოს, ისე და-
 უქირავებელი ფასიანი სამუშაოს შესრულება.

ეს აკრძალვა არ ვრცელდება:

ა) ლიტერატურულ, პედაგოგიურ, საექიმო, სამეცნიერ-
 რო, სამხატვრო და სამსახიობო მუშაობებზე, რამდენადაც
 ეს შეიძლება შეთავსებული იქნეს სამხედრო სამსახურის
 მოვალეობის შესრულებასთან;

ბ) საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შერე-
 დგენლობის პირთა რიცხვიდან სპეციალისტების მუშაო-

ბებზე სამოქალაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში (სახელმწიფო კოოპერატიული და საზოგადოებრივი).

ამასთან დაქირავებით აღნიშნულ სამუშაოებების შესრულება დაიშვება მხოლოდ ნაწილის მეთაურის ნებართვით.

ამ მუხლით დაწესებული შეზღუდვა არ ვრცელდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო მსახურებზე, მისი მოკლევადიანი შვებულებაში ყოფნის დროს.

233. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფი სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი, უფროსთა განკარგულებით, შეიძლება გამოყენებული იქნან როგორც მუშა ხელი, მხოლოდ:

- ა) ნაწილის საჭირო სამეურნეო სამუშაოებზე;
- ბ) სტიქიური (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, თოვლის ნამქერი და სხვ.) უბედურებასთან საბრძოლველად;
- ეს სამუშაოები არ ანაზღაურდება ხელფასით.

234. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფ სპეციალური ნაწილების სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი, ამ ნაწილის მომზადების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნან სპეციალური ხასიათის სათანადო სამუშაოებზე:

- ა) მუშურ-გლეხური წ/ა საჭიროებისათვის;
- ბ) სამოქალაქო საწარმოებების და დაწესებულებების (სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადო) საჭიროებისათვის.

სამოქალაქო წარმოებათა და დაწესებულებათა შესახებ
რო მუშაობებზე ეს სამხედრომსახურნი გამოყენებული
იქნებიან ნაწილის მეთაურსა და სათანადო დაწესებულე-
ბათა და წარმოებათა ხელმძღვანელების შორის დადებულ
შეთანხმების თანახმად. ამასთან სამხედრო მსახურთა სა-
მუშაოებებზე გაყვანა ყოველ ცელკე შემთხვევაში ხდება
ადგილობრივ შრომის ბირჟასთან შეთანხმებით და დივი-
ზიის მეთაურის ნებართვით.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის საჭიროებისათვის
სამუშაოები არ ანაზღაურდება ხელფასით.

სამოქალაქო დაწესებულებათა და წარმოებათა საჭი-
როებისათვის სამუშაოებები ანაზღაურებული იქნება
ხელფასით და ასეთი მიეცემა სამხედრო ნაწილებს. სა-
მხედრონაწილების მიერ ამ სამუშაოებისაგან მიღებულ
თანხის გამოყენების წესებს ადგენს სამხედრო და საზღვაო
საქმეთა სახალხო კომისარიატი.

235. შრომის კანონმდებლობა არ ვაჯრცელდება მუ-
შურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო-
მსახურებზე და სამხედროვალდებულებებზე.

236. 234 მუხლის „ბ“ პ. აღნიშნულ სამუშაოებებზე
შრომის დაცვის წესებს ადგენს სამხედრო და საზღვაო საქ-
მეთა სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის შრომის სა-
ხალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

(237 მუხ. ამოშლილია სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50,
მუხ. 331).

238. მარქაფში მყოფი უფროსთა შემადგენლობას მხედრომსახურებზე ვრცელდება შრომის საერთო კანონმდებლობა იმ გამონაკლისით, რაც გამომდინარეობს სამხედრო სამსახურის განსაკუთრებულ პირობებიდან. ეს გამონაკლისები დაწესდება დებულებით უფროსთა შემადგენლობის მარქაფში სამსახურის გავლის შესახებ.

სოციალური დაზღვევის კანონები ამ სამხედრომსახურებზე არ ვრცელდება. დროებით შრომის უნარიანობისას მათ სავსებით ენახებათ სამუშაო ხელფასი, სამუშაო ადგილის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ოთხი თვისა ზედიზედ. დანარჩენებში ისინი უზრუნველყოფილი არიან კადრის უფროსთა შემადგენლობასთან თანაბარ საფუძვლებზე.

239. სპეციალური კანონებში აღნიშნულ შემთხვევებში, სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა მიერ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გატარებული დრო ჩაითვლება დაქირავებითი მუშაობის სტაჟად.

240. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფი სამხედრომსახურნი და თადარიგელნი, სასწრაფო დავალების შემსრულებელთა გამოკლებით, ვალდებული არიან, რაიმე (ხანძრის, აფეთქების, მიწისძვრის, შეიარაღებული თავდასხმის და სხვ.) შემთხვევის ადგილზე ყოფნის დროს აღმოუჩინონ ყოველმხრივი დახმარება სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

თუ შემთხვევის ადგილას არ იქნება სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელი, ამ ადგილზე მყოფი უფროსი სამხედრომსახური ან თადარიგელი ვალდებულია

საკუთარი თაოსნობით მიიღოს მდგომარეობის მიხედვით სათანადო ზომები. ამ შემთხვევებში უმცროსი სამხედრო მსახურნი და თადარიგელნი ასრულებენ ყოველ უფროსის განკარგულებებს; როგორც უფროსისას.

241. შემდეგი კატეგორიის სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი იღებენ სახელმწიფოს ხარჯზე ფულად და ნატურალურ კმაყოფას (სანივთო კმაყოფა, კვება, სასწავლო სახელმძღვანელოები და სხვ.):

ა) მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგებში მყოფი კადრის რიგის და უფროსთა შემადგენლობის სამხედრო-მსახურნი;

ბ) ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრომსახურნი, რომლებიც გადიან სამთვიან სწავლებას სამსახურის პირველ წელს და სამოსწავლო შეკრებებს და აგრეთვე სამხედრო სწავლებას სამსახურის პირველ წელს წვევამდე სამხედრო სწავლების ნაცვლად;

გ) სამხედრომსახურნი, რომლებიც გადიან უმაღლეს ჯარისგარეშე მომზადებას — სამოსაწვლო შეკრებების დროს;

დ) მარჩაფში და გრძელვადიან შვებულებაში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და თადარიგში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის პირები — სამოსწავლო შეკრებების, მანევრების და სხვა სამოსწავლო მეცადინეობის დროს;



ე) რიგის შემადგენლობის თადარიგელნი — სამოსწავლო შეკრებების დროს;

ვ) გრძელვადიანი შევებულებაში და თადარიგში მყოფი უფროსთა შემადგენლობის პირები — როგორც ინსტრუქტორები წვევამდე მომზადების ან ჯარისგარეშე მომზადების ჩატარებისათვის გაწვევის დროს;

ზ) ყველა სამხედრომსახურნი და თადარიგელნი — საცდელ მობილიზაციების დროს.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება:

1. უფროსთა შემადგენლობის პირებზე უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებსა და ტექნიკუმებში მოსწავლეთა რიცხვიდან, რომელნიც გაწვეული იქნებიან როგორც ინსტრუქტორები მოსწავლეთა უმაღლეს ჯარისგარეშე მზადების ჩასატარებლად თვით სამოსწავლო დაწესებულებაში.

2. სამხედრომსახურებზე და სამხედროვალდებულებზე, რომელნიც მათთვის დაწესებულ სამოსწავლო შეკრებებს გადიან „ოსოავიაქიმის“ ორგანიზაციებთან ან ატარებენ ამ შეკრებებს როგორც ინსტრუქტორები.

242. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფი წვევამდელნი და სამხედრომსახურნი, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარისგარეშე წესით, იმ მუშებისა და მოსამსახურეების გარდა, რომლებსაც თანახმად კანონისა, ენახებათ მათი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში

გაწვევის დროს შრომის ხელფასი მუშაობის ადგილებზე
კვებას კი იღებენ სახელმწიფოს ხარჯზე.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ სა-
მხედრომსახურებზე და სამხედროვალდებულებზე,
რომლებიც მათთვის დაწესებულ სამოსწავლო შე-
კრებებს გადიან „ოსოავიაქიმის“ ორგანიზაციებთან
ან ატარებენ ამ შეკრებებს როგორც ინსტრუქტო-
რები.

243. ნატურალური და ფულადი კმაყოფა ეძლევათ სა-
მხედრომსახურებს და სამხედროვალდებულებს მუშურ-
გლესური წითელ არმიის რიგებში ფაქტიურად ყოფნის
დროის განმავლობაში.

244. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომი-
სარს უფლება აქვს უფროსთა შემადგენლობის პირთათვის
დააწესოს კმაყოფის ერთი სახის მეორე სახით შეცვლა.

245. მუშურ-გლესური წითელი არმიის რიგებში მყოფ
სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა საჩივარი
მათთვის კმაყოფის გაუცემლობაზე გადაწყვეტილი იქნება
ადმინისტრაციული წესით სამხედრო უფროსების მიერ.

(246 და 247 მუხ. მუხ. ამოშლილია სსრკ. კან. კრებ.
1931 წ. № 50, მუხ. 331).

248. ფულადი კმაყოფა უფროსთა შემადგენლობის
პირებს, რომლებიც იმყოფებიან მარჭაფში, გრძელვადიან
შვებულებაში და თადარიგში, იმ მუშა-მოსამსახურეთა
გარდა, რომლებსაც, თანახმად კანონისა, ენახებათ მათი
მუშურ-გლესური წითელი არმიის რიგებში გაწვევის

დროს შრომის ხელფასი მუშაობის ადგილზე, მიეცემათ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ როგორც დღიურები შემდეგ რაოდენობით:

ა) საშუალო უფროსთა შემადგენლობის პირებს — $\frac{1}{30}$ ოცეულის მეთაურის ძირითადი და დამატებითი თვიური ჯამაგირიდან;

ბ) უფროს უფროსთა შემადგენლობის პირებს — $\frac{1}{30}$ ათასეულის მეთაურის ძირითადი და დამატებითი თვიური ჯამაგირიდან;

გ) უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის პირებს — $\frac{1}{30}$ ლეგიონის მეთაურის ძირითადი და დამატებითი თვიური ჯამაგირიდან.

249. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს უფლება აქვს:

ა) დააწესოს მარჩაფში, გრძელვადიან შევბულებაში და თადარიგში მყოფ უფროსთა შემადგენლობის იმ პირებისათვის, რომლებსაც ენახებათ მუშურ-გლებური წითელი არმიის რიგებში გაწვევის დროისათვის სამუშაო ხელფასი მუშაობის ადგილას; მათი საშუალო დღიურ ხელფასის და წინა მუხლში აღნიშნული დღიურების შორის განსხვავების გაცემა;

ბ) დააწესოს „ა“ პ. აღნიშნულ პირებისათვის დამატებითი ხელფასი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯზე, მათთვის მუშაობის ადგილზე შენახულ ხელფასს ზევით.



250. გრძელვადიან შევებულებაში, მარქაფში, ტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში და თადარიგში მყოფი უფროსთა შემადგენლობის პირები, მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგებში გაწვევის დროს, საცხოვრებელ ადგილიდან შეკრების ადგილამდე და უკან მგზავრობის დროისათვის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებიდან ღებულობენ დღიურებს ოცეულის მეთაურის ძირითადი და დამატებითი თვიური ჯამაგირის $\frac{1}{100}$ რაოდენობით, ვზაში ყოფნის თვითეულ დღე-ღამისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც მანძილი აღმატება 30 კილომეტრს, ეს პირები გადაყვანილი იქნებიან იქით და აქით სამხედრო გადასაზიდავ საბუთებით სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯზე.

(251 მუხ. ამოშლილია, სსრკ. კან. კრებ. 1931 წ. № 50, მუხ. 331).

252. მარქაფში მყოფი უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი ჯამაგირს იღებენ იმ სამოქალაქო დაწესებულებებიდან და წარმოებიდან, სადაც იხინი მივლინებული არიან.

თუ ამ სამხედრომსახურთა სამოქალაქო დაწესებულებებში და წარმოებებში მივლინება დაკავშირებულია მათთვის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან, გადაყვანის დახმარება, დღიურები და სამხედრო გადასაზიდავი საბუთები მიეცემათ მათ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებიდან, კადრის უფროს-



თა შემადგენლობის სამხედრომსახურთათვის დაწესებულ საფუძვლებზე.

ამ სამხედრომსახურთა ერთ სამოქალაქო დაწესებულებიდან ან წარმოებიდან მეორეში გადაყვანის დროს, აგრეთვე მათი მივლინების დროს უკანვე კადრში სამსახურში, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან დაკავშირებით, კომპენსაცია მიეცემა მათ იმ დაწესებულებებიდან, სადაც ისინი მუშაობდნენ, ადმინისტრაციის განკარგულებით გადაყვანილ მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებულ ნორმების მიხედვით.

253. ფულადი და ნატურალური კმაყოფის ნორმები, რომელსაც იძლევა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები, 248 და 250 მუხლებში აღნიშნულ კმაყოფის გარდა, წესდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

254. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს კადრის რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი ვალდებული არიან ატარონ დაწესებული ფორმის ტანსაცმელი, როგორც სამსახურში, ისე სამსახურის გარეთ. ხოლო მოკლევადიან შევებულებაში ყოფნის დროს ამ სამხედრომსახურთ შეუძლიან ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი.

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის აგრეთვე ზედმეტვადიან სამსახურის უმცროს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი ვალდებული არიან ატარონ სამსახურში დაწესებული ფორმის ტანსა-



ცმელი. სამსახურის გარეთ ამ სამხედრომსახურთ
 ძლიან ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი.

ყველა დანარჩენ სამხედრომსახურთა და სამხედრო-
 ვალდებულთა მიერ ფორმის ტანსაცმელის ტარების შე-
 მთხვევებს და წესებს ადგენს სამხედრო და საზღვაო საქ-
 მეთა სახალხო კომისარიატი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „სამსახურში“ და „სამსახურის გა-
 რეთ“ ყოფნის ცნება განისაზღვრება მუშურ-გლე-
 ხური წითელი არმიის შინა სამსახურის წესდებით.

255. ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო
 სკოლა, რომლის პროგრამა საერთო საგანმანათლებლო
 საგნების მიხედვით შეეფერება საშუალო სამოქალაქო
 სკოლების პროგრამას, სარგებლობენ უკანასკნელში კურს-
 დამთავრებულების უფლებებით.

სამხედრო აკადემიაში კურსდამთავრებული პირები
 სარგებლობენ იმ პირთა უფლებებით, რომლებმაც დაამ-
 თავრეს უმაღლესი სამოქალაქო სასწავლებლები.

256. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ყოფ-
 ნის დროს სამხედრომსახურთა და თადარიგელთა მიერ
 ჩადენილი დანაშაული სამხედრო სამსახურის შესრულე-
 ბისათვის შემუშავებულ წესების წინააღმდეგ, ჩაითვლე-
 ბა სამხედრო დანაშაულად. ეს დანაშაულებები და მასზე
 სოციალური ღონისძიებები აღნიშნულია დებულებაში სა-
 მხედრო დანაშაულთა შესახებ.

სამხედრო დანაშაულის საქმეებს იხილავს სამხედრო
 ტრიბუნალები.



სამხედრო ტრიბუნალები განიხილავენ აგრეთვე მეტეოროლოგიის
შეებს სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა
შიერ მუშურ-გლებურ წითელი არმიის რიგებში ყოფნის
დროს ჩადენილ სხვა დანაშაულებზე, რაც აღნიშნულია
დებულებაში სამხედრო ტრიბუნალის და სამხედრო პრო-
კურატურის შესახებ.

257. წვევამდელები და უფროსთა შემადგენლობის
თადარიგენი, რომლებმაც გაიარენ უმაღლესი საწარ-
მოო მზადება, სასწავლო შეკრებისაგან თავის არიდები-
სათვის პასუხს აგებენ მოკავშირე რესპუბლიკების სი-
სხლის სამართლის კოდექსებით.

სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის „ყვე-
ლა სამხედრომსახური და სამხედროვალდებული აგრეთვე
პასუხს აგებენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამარ-
თლის კოდექსის თანახმად.

საქმეებს ამ დანაშაულთა შესახებ იხილავენ საერთო
სასამართლოები.

(სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 50 მუხ. 331).

258. მორიგ გაწვევებზე, ნამდვილ სამხედრო სამსა-
ხურში სამოსწავლო შეკრებებზე, მანევრებზე და სხვა სა-
მოსწავლო მეცადინეობაზე, აგრეთვე მობილიზაციით გა-
წვევაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების საპატიო
მიზეზათ ითვლება:

ა) პირადი გამოცხადების დამაბრკოლებელი ავადმყო-
ფობა, დამოწმებული სახელმწიფო სამსახურში მყოფ
ექიმის ან ექიმის თანაშემწის მიერ;

ბ) თავისუფლების აღკვეთის ადგილას ყოფნა მართლოს განაჩენით ან გამომრკვევ ორგანოთა დადგენილებით;

გ) სტიქიური ხასიათის დაბრკოლებანი (წყალდიდობა, მდინარეების ნაპირიდან გადასვლა, სამიმოსვლო გზების გაფუჭება და სხვა) თუ ამ დაბრკოლებათ გადალახვის შეუძლებლობა დამოწმებულია მილიციის ან სასოფლო საბჭოს მიერ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მცირედასახლებულ განაპირა ადგილებში ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოების და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს მოწმობის გაცემა გამოცხადების დამაბრკოლებელ ავადმყოფობის შესახებ — სასოფლო საბჭოების მიერ.

259. ვადით მსახურ საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილების ნაცვლად, ვადიგზავნებიან სამხედრო გამასწორებელ ნაწილებში, ხოლო იძულებითი მუშაობის ნაცვლად დაპატიმრებული იქნებიან იმ წესით, რაც დაწესებულია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო პატიმრობის მოხდაზე.

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი, სსრ კავშირის და მოკავში-

რეთა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონებით
გათვალისწინებულ შემთხვევებში, იძულებითი მუშაობის
ნაცვლად იხდიან თავისუფლების აღკვეთას იმ წესით, რაც
დაწესებულია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო
პატიმრობის მოხდაზე.

260. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად რიგის
შემადგენლობის სამხედრომსახურნი ადმინისტრატიული
წესით დაისჯებიან, და ასეთს დაადებენ ხელისუფლების
ადგილობრივი ორგანოები სამხედრო უფროსთა შეტყო-
ბინების შემდეგ:

ა) სამოსწავლო, შეკრებებზე გამოუცხადებლობისა-
თვის, რომელიც გრძელდებოდა ორი დღეზე ნაკლები ვა-
დით.

ბ) თვითნებით წასვლა სამსახურის პირველ წლის
სწავლების და სამოსწავლო შეკრების უკანასკნელ ორი
დღე დამის განმავლობაში, თუ ისინი ამ სწავლების ან შე-
კრებაზე დასრულებამდე არ დაბრუნდებიან ნაწილში.

სასჯელის სახე და დადების წესები წესდება მოკავ-
შირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს მიერ
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან
შეთანხმებით.

261. სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი,
სამსახურის მოვალეობათა იმ დარღვევებისათვის, რაც არ
წარმოადგენს დანაშაულს და აგრეთვე მუშურ-გლებურ
წითელ არმიის რიგებში ყოფნის დროს ჩადენილ სხვა მო-
ქმედებისათვის, რაც არ ჩაითვლება სამსახურის მოვალეო-

ბის დარღვევით, მაგრამ შეუფერებელია სამხედრომსახურის ღირსებისა და დანიშნულებისათვის, პასუხს აგებენ მუშურ-გლახურ წითელ არმიის სადისციპლინო წესდებას თანახმად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მუშურ-გლახური წითელი არმია სადისციპლინო წესდების განსაკუთრებული წესების იმ სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთათვის შეფარდება, რომლებიც მათთვის დაწესებულ სამოსწავლო შეკრებებს გადიან „ოსოავიაქიმის“ ორგანიზაციებთან და ატარებენ ამ შეკრებებს როგორც ინსტრუქტორები — მუშავდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მიერ.

262. ვადიან და ზედმეტვადიან სამსახურის საკადრო რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურთა და საკადრო უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთა მიერ იმ მოქმედების ჩადენის შემთხვევებში, რომლისთვისაც დაწესებულია ადმინისტრატიული სასჯელები, ამ მოქმედებებზე სათანადო ორგანოები აუწყებენ იმ სამხედრო ნაწილის მეთაურს, რომელსაც ეს სამხედრომსახურნი ეკუთვნიან. ნაწილის უფროსი ამ სამხედრომსახურებს, საქმის ვითარების მიხედვით, უფარდებს დისციპლინალურ ღონისძიებებს მუშურ-გლახური წითელი არმიის სადისციპლინო წესდების თანახმად. დისციპლინალური ღონისძიებების შეფარდების შესახებ ის ერთდროულად აცნობებს სათანადო ორგანოებს.



263. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფი ფი სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი, ლეზი დაკავებული იქნებიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის თავის ნაწილის ადგილმდებარეობის გარეშე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, რომელთაც დაკისრებული აქვთ წესიერების დაცვა, დაუყონებლივ გადაგზავნილი უნდა იქნან თავის ნაწილში, ხოლო თუ ასეთში გაგზავნა შეუძლებელია — მახლობელ სამხედრო ნაწილში ან ადგილობრივ სამხედრო სამმართველოების უახლოეს ორგანოებში.

სამხედრო ნაწილის ან ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოს სიშორის შემთხვევაში, ეს სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი შეიძლება დროებით დაკავებული იქნან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ და ამის შესახებ დაუყონებლივ ეცნობება ნაწილის მეთაურს ან ადგილობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოს.

264. საშუალო, უფროსი და უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის და აგრეთვე ზედმეტვადიან სამსახურის რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობის პირები იმ ზიანისათვის, რაც მათ მიაყენენ სახალმწიფოს სამსახუროებრივი მოვალეობის შესრულების დროს — ამ მოვალეობათა დაუდევარი შესრულებით, და აგრეთვე კანონის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის წესდებების ან უფროსთა განკარგულების დარღვევით, თუ ზიანის გამომწვევი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს — პა-

სუხს აგებენ ქონებრივად ნამდვილ მიყენებულ ზიანის რაოდენობით, მაგრამ საერთო შეჯამებით არა უმეტეს $\frac{1}{3}$ ძირითად და დამატებით თვიური ჯამაგირის $\frac{1}{3}$ -სა.

ასეთ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება ნაწილის მეთაურის განკარგულებით ფულადი კმაყოფიდან დაკავებით. განკარგულება დაკავების შესახებ შეიძლება გაცემული იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა ზიანის აღმოჩენის დღიდან. დაკავება შეიძლება მოხდეს არა უადრეს 7 დღისა განკარგულების გამოცხადების დღიდან. განკარგულება დაკავების შესახებ ამ დროის განმავლობაში შეიძლება განსაჩივრებული იქნეს ზემდგომ უფროსთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანამდე დაკავება არ მოხდება.

ეს მუხლი ვრცელდება მარქაფში მყოფ უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურებზე. მათ ეფარდებათ კანონები მუშა-მოსამსახურის ქონებრივ პასუხისმგებლობის შესახებ, იმ ზიანისათვის, რაც მათ მიაყენეს დამჭირავებლებს.

265. რიგის და უფროსთა შემადგენლობის პირები - მ ზიანისათვის, რაც მათ მიაყენეს სახელმწიფოს სამსახურის მოვალეობების შესრულების დროს ისეთი მოქმედებით, რომელიც დანაშაულად ითვლება, პასუხს აგებენ სასამართლოს წესით მიყენებულ ზიანის სრული ღირებულების ფარგლებში.

266. სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზიანის გადახდა არ მოხდება, თუ ასეთი გადახდა მიზანშეწონილია ან უი-

მედია. ამ შემთხვევებში ზარალი მიიღება სახელმწიფოს ხარჯზე. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი აწესებს, თუ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის, რომელ ორგანოს უფლება აქვს მიიღოს ზარალი სახელმწიფოს ხარჯზე, და აგრეთვე ის აწესებს ამ ორგანოების უფლებამოსილობის ფარგლებს.

267. არ დაიშვება როგორც სასამართლოს ისე აღმინისტრაციული წესით ნატურალურ კმაყოფილებიდან დაკავება, რასაც იღებენ რიგის და უფროსთა შემადგენლობის პირები, აგრეთვე ფულად კმაყოფიდან, რასაც იღებენ ვადით მსახურის რიგის შემადგენლობის პირები.

საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის და აგრეთვე ზედმეტვადიან სამსახურის რიგის და უმცროს უფროსთა შემადგენლობის პირთა ფულად კმაყოფიდან დაკავების დროს, ამ პირებისაგან შეიძლება დაკავებული იქნეს არა უმეტეს ძირითადი და დამატებითი ჯამაგირის 50% — ოჯახის წევრთა შესანახად და არა უმეტეს 20% — ყველა დანარჩენი ნახის გადახდევინებისათვის. ოჯახის წევრთა შესანახად და სხვა საფუძვლის მიხედვით ერთდროული გადახდევინების დროს შეიძლება დაკავებული იქნეს საერთო შეჯამებით არა უმეტესი 50% ძირითადი და დამატებითი ჯამაგირიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შემოადნისული შეზღუდვები არ იქნება გავრცელებული იმ გადახდებზე, რაც იწარმოებს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს

1927 წლის 10-აგვისტოს დადგენილებით — სახელმწიფო დაწესებულებების და საწარმოებების, პერატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების გაფლანგვით, მითვისებით და გატაცებით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № 51, მუხ. 507).

268. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს სამხედრო სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მუშურ-გლეხური წითელი არმიის წესდებებით.

269. სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი სარგებლობენ იმ შეღავათებით, რაც აღნიშნულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულებათა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების კოდექსში.

270. სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა და მათი ოჯახების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალური კანონებით.

ამ მუხლის განსავითარებლად სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრში ვადიან (განუწყვეტელ) სამსახურში და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამსახურში მყოფ რიგის და უმცროს უფ-



როსთა შემადგენლობის სამხედრომსახურთა შრომის უნარმოკლებულ ბავშებს, ძმებს, დებს, მეუღლეს და მშობლებს უფლება აქვთ ავიდნენ სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფაზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც მუშურ-გლეხური წითელი არმიაში გაწვეულია ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი, ოჯახის ერთ ან მეტ შრომის უნარმოკლებულ წევრებთან, რომლებსაც გაწვევამდის არჩენდა თავისი შრომით;

ბ) როდესაც მუშურ-გლეხური წითელი არმიაში გაწვეულს გარდა ოჯახში არის მეორე შრომის უნარიანი წევრი და ორთავეს თავიანთი შრომით არჩენდნენ გაწვევამდე ოჯახის სამ ან მეტ შრომის უნარ მოკლებულ წევრს.

შენიშვნა: მუშურ-გლეხური წითელი არმიაში გაწვეულთა ოჯახებს ეთანაბრება მუშურ-გლეხური წითელ არმიაში მოხალისეთ შესულების ოჯახები.

2. უზრუნველყოფის უფლებების მქონე ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებს ეკუთვნიან:

- ა) 18-წელზე ნაკლები პირები;
- ბ) მამაკაცები 55-წელზე მეტი და დედაკაცები 50 წელზე მეტი *).
- გ) ინვალიდები — ინვალიდობის პირველი სამი ჯგუფიდან.

*) საქართველოში 40 წელზე მეტი

მთარგმნელი

დ) დედაკაცები მშობიარობის უკანასკნელ ორფორმულ
განმავლობაში;

ე) დედაკაცები, რომლებიც უვლიან 8 წლის ჰასაკის
მიუღწეველ სამხედრომსახურის ბავშვებს, ძმებს და დებს;

3. თუ სამხედრომსახურის ოჯახში, რომელსაც გაწვე-
ვის მომენტში არ ქონდა უზრუნველყოფაზე ასვლის უფ-
ლება. მოხდება ცვლილებები (გამოაკლდებათ შრომის
უნარიანი წევრები, შეემატებათ უნარმოკლებულნი) მაშინ
ოჯახი ამ დროიდან ღებულობს უფლებას უზრუნველ-
ყოფაზე საერთო საფუძვლების მიხედვით.

4. უზრუნველყოფის უფლებების მქონე პირებს, ეშლე-
ვით ყოველდღიური ფულადი დახმარება საამისოთ და-
წესებულ ნორმებით.

დახმარების ნორმები ყოველწლიურად წესდება მოკავ-
შირე რესპუბლიკების მთავრობების მიერ, ცალკე იმ ოჯა-
ხებისათვის, რომლებიც ეწევიან სასოფლო მეურნეობას
და ცალკე იმათთვის, ვინც არ ეწევა. ეს ნორმები თანდათა-
ნობით გადიდებული უნდა იქნას, მშრომელთა კეთილდღე-
ობის საერთო ზრდასთან ერთად. ამასთანავე ეს ნორმები
ოჯახის შემადგენლობის მიხედვით უნდა იქნეს სხვა
დასხვა.

5. სამხედრომსახურთა ოჯახების შესანახი ხარჯები
მიეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო
ბიუჯეტს.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და ქალაქის საბ-
ჭოებს შეუძლიანთ დააწესონ დახმარების გაცემა გადიდე-

ბულ რაოდენობით დაწესებულ ნორმებთან შედარებით ამ შემთხვევაში განსხვავება გაიცემა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

6. მუშურ-გლახური წითელი არმიის კადრებში ვადიან (განუწყვეტელ) სამსახურში მყოფ სამხედრო-მსახურთა ოჯახის წევრები, დახმარებას ლეზულობენ გაწვევის დღიდან ამ სამხედრო-მსახურების გრძელვადიანი შვებულებაში დათხოვის შემდეგ ორი თვის გასვლამდე.

მუშურ-გლახური წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობის სამხედრო-მსახურთა ოჯახის წევრები ლეზულობენ დახმარებას, ამ სამხედრო-მსახურთა სწავლების მთელი დროის განმავლობაში — სწავლების პირველ წელს.

7. დახმარებებს უნიშნავენ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოები იმ პირებს აღრიცხვის საფუძველზე, რომლებსაც აქვთ უზრუნველყოფის უფლება, ამ პირების მიერ განცხადების წარუდგენლად. აღრიცხვა სწარმოებს ადგილობრივ გამწვევ კომისიების მასალების მიხედვით.

8. დახმარების გაცემის ნაცვლად უზრუნველყოფის უფლების მქონე პირები შეიძლება მოთავსებული იქნან სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის და სახალხო განათლების დაწესებულებათა ორგანოებში იმავე ხნით, რომლის განმავლობაში უნდა მიეცეთ ეს დახმარება.

9. აღრიცხვის და უზრუნველყოფის დანიშვნის წესები წესდება მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების მიერ



სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის
 შეთანხმებით.

10. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან დე-
 ზერტირად წასულ სამხედრო მსახურთა ოჯახის წევრებს
 ერთმევათ უზრუნველყოფის უფლებები.

11. იმ პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ აყვანილი
 იქნან უზრუნველყოფაზე სოციალურ დაზღვევის წესით
 ან განსაკუთრებულ კანონების საფუძველზე, უზრუნველ-
 ყოფას ამ დადგენილების მიხედვით არ ღებულობენ.

(სსრკ რევსაბჭოს 1931 წ. № 157 ბრძანება გამოქვეყ-
 ნებული სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წ. 23 აგვის-
 ტოს № 4/692 დადგენილება).

კ ა რ ი XV

**სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება
 რელიგიური რწმენის მიხედვით**

271. მოქალაქეები, რომლებიც დაბადებით და აღ-
 ზრდით შედიან იმ ოჯახების შემადგენლობაში, რომლე-
 ბიც ეკუთვნიან სექტებს, რომელთა რელიგიური მოძღვრე-
 ბა უკრძალავს ამეამად და უკრძალავდა 1917 წლამდე
 სამხედრო სამსახურის მოხდას იარაღით ხელში, შეიძლება
 განთავისუფლებულნი იქნან სავალდებულო სამხედრო სა-
 მსახურიდან სასამართლოს დადგენილებით. სასამართლოს
 მიერ რელიგიურ რწმენის მიხედვით სავალდებულო სა-



მხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საქმის განხილვის წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

272. სასამართლოს დადგენილება სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ დაინტერესებულ მოქალაქის მიერ უნდა წარდგენილი იქნეს სამხედრო კომისარიატთან არსებულ გამწვევ კომისიაში არა უადრეს, ვიდრე ორი წლისა და არა უგვიანეს, ვიდრე ექვსი თვისა მისი ტოლების მორიგ გაწვევამდე.

273. მოქალაქეები, რომლებიც განაცხადებენ ისეთ რელიგიურ რწმენის შესახებ, რომელიც მათ უკრძალავს სამხედრო სამსახურის მოხდას იარაღით ხელში, მაგრამ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სასამართლოს სათანადო დადგენილებას, გაიწვევიან სამხედრო სამსახურში საერთო საფუძვლებზე..

274. მოქალაქენი, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენით, გაივლიან საექიმო შემოწმებას სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიაში ერთდროულად მათ ტოლებთან, რომლებსაც იწვევენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

გამწვევ კომისიებს გამოაქვთ მათ შესახებ ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) საზოგადო სასარგებლო სამუშაოებზე ვარჯისიანობის შესახებ;
- ბ) ასეთი სამუშაოებისათვის უვარჯისობის შესახებ.

275. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გიური რწმენით განთავისუფლებული მოქალაქეები და ცნობილნი საექიმო შემოწმების შემდეგ საზოგადო-სასარგებლო სამუშაოებისათვის ვარგისად, იმყოფებიან აღრიცხვაზე 40 წლამდე ჩათვლით, ასეთი სამუშაოებისათვის უვარგისნი მოიხსნებიან აღრიცხვიდან.

276. მშვიდობიანობის დროს 274 მუხლ. „ა“ პ. აღნიშნული მოქალაქეები გაწვეული იქნებიან საზოგადო-სასარგებლო სამუშაოებზე (ტყის დამზადება, დაცურება, ტორფის დამუშავება, ბრძოლა ეპიდემიებთან, ტყის ხანძართან და სხვა სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველ სამუშაოებზე და სხვ.) მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელშიდაც მათი ტოლები გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს საერთო შეჯამებით არა უმეტეს ორი წლისა.

მათი სამუშაოზე გამოყენების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები მოკავშირე რესპუბლიკების, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის, შრომის და სხვა დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

277. ომიანობის დროს 274 მუხლ. „ა“ პ. აღნიშნულ მოქალაქეებიდან სდგება განსაკუთრებული გუნდები ფრონტის და ზურგის ნაწილების მომსახურებისათვის.

ზურგის ლაშქარი

278. ზურგის ლაშქარში იმყოფებიან 28 მუხლში აღნიშნული მოქალაქენი, ხნოვანობით ოციდან ორმოც წლამდე ჩათვლით.

279. ზურგის ლაშქარში ჩარიცხვა წარმოებს შემდეგი წესით:

ა) გასაწვევ ჰასაკის პირები, რომლებსაც ეხებათ 28 მუხლი, ჩარიცხებიან ზურგის ლაშქარში სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიების მიერ მათი ტოლების ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან ერთად. ამ პირთა შერჩევას ზურგის ლაშქარში ჩასარიცხავად აწარმოებენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების სათანადო განყოფილებები. შერჩეულ პირთა სიები მტკიცდება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ და მორიგ გაწვევის დაწყების ერთი თვით ადრე ეცნობება გამწვევ კომისიებს;

ბ) მუშურ-გლეხური არმიის რიგებში მყოფი რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი, რომელთა მიმართ შეიქნა 28 მუხლში აღნიშნული პირობები, დათხოვნილი იქნებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან იმ სამხედრო ნაწილის შეთაურის განკარგულებით, რომელსაც ეკუთვნიან აღნიშნული



პირები. დათხოვნის მიზნებს ნაწილის მეთაური ადგილობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოს, რომელიც აწარმოებს ზურგის ლაშქარში გადარიცხვას;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის სამხედრომსახურნი და სამხედროვალდებულნი, რომელთა მიმართ შეიქნა 28 მუხლში აღნიშნული პირობები, დათხოვნილი იქნებიან მუშურ-გლახური წითელი არმიიდან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებით;

დ) მუშურ-გლახური წითელი არმიის რიგებში არ მყოფი რიგის შემადგენლობის სამხედრომსახურნი და თადარიგელნი, რომელთა მიმართ შეიქნა 28 მუხლში აღნიშნული პირობები, ჩარიცხული იქნებიან ზურგის ლაშქარში ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოთა მიერ, რომელშიდაც ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან.

280. 279 მუხ. „ბ“ და „გ“ პ. პ. აღნიშნულ შემთხვევებში მუშურ-გლახური წითელი არმიიდან დათხოვნა და ზურგის ლაშქარში ჩარიცხვა ხდება სათანადო ორგანოების დადგენილების და განკარგულების საფუძვლებზე. ასეთ დადგენილებად და განკარგულებად ითვლება:

ა) 28 მუხ. პირველ ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში ძალაში შესული საარჩევნო კომისიების დადგენილებები საბჭოებში არჩევის უფლებების წართმევის შესახებ;

ბ) 28 მუხ. მეორე ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში — ძალაში შესული სასამართლოს განაჩენები და გა-

მუშენდი კომისიების და ადმინისტრაციული ორგანოების
დადგენილებები.

გ) 28 მუხ. მესამე ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში — სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისიის განკარგულებანი.

„ა“ და „ბ“ პ. პ. ჩამოთვლილი ორგანოები თავიანთ განაჩენებს და დადგენილებებს აცნობებენ: მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა შესახებ — სამხედრო ნაწილების მეთაურებს, იმ სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა შესახებ, რომელნიც არ იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში კი — ადგილობრივ სამხედრო სამმართველოს ორგანოებს.

281. 279 მუხ. „ა“ პ. აღნიშნული ყველა მოქალაქე გაივლიან საექიმო შემოწმებას სამხედრო კომისარიატებთან არსებულ გამწვევ კომისიებში, ერთდროულად ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევ მათ ტოლებთან.

გამწვევ კომისიებს ამ პირთა მიმართ გამოაქვთ ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

საზოგადო-სასარგებლო სამუშაოებისათვის ვარჯისიანობის შესახებ;

ბ) ასეთი სამუშაოებისათვის უვარჯისობის შესახებ.

ზურგის ლაშქარში ჩაირიცხებიან საზოგადო სამუშაოებისათვის ვარჯისად ცნობილნი. ასეთი სამუშაოებისათვის უვარჯისად ცნობილნი ამოირიცხებიან აღრცხვიდან.



282. 279 მუხ. „ა“ პ. აღნიშნულ მოქალაქეთა განცხადებანი მათი არა კანონიერად ზურგის ლაშქარში ჩარიცხვის შესახებ საბოლოოდ გადაწყდება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

279 მუხ. „ბ“ პ. აღნიშნულ მოქალაქეთა განცხადებანი მათი უკანონო მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნის და ზურგის ლაშქარში გადარიცხვის შესახებ საბოლოოდ გადაწყდება იმ შემდგომი სამხედრო შენაერთის მეთაურის მიერ, რომელშიდაც ეს სამხედრო ნაწილი შედის.

279. მუხ. „გ“ პ. აღნიშნულ მოქალაქეთა განცხადებანი მათი სამხედრო სამსახურიდან უკანონო დათხოვნის და ზურგის ლაშქარში ჩარიცხვის შესახებ საბოლოოდ გადაწყდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

279. მუხ. „დ“ პ. აღნიშნულ მოქალაქეთა განცხადებანი მათი სამხედრო სამსახურიდან უკანონო დათხოვნის შესახებ საბოლოოდ გადაწყდება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ.

283. თუ საფუძველი, რომლის მიხედვით მოქალაქე ჩარიცხა ზურგის ლაშქარში, მოეხსნა, ის ამოირიცხება ზურგის ლაშქარიდან და შემდეგში გაივლის სავალდებულო სამხედრო სამსახურს საერთო საფუძველებზე.

284. მშვიდობიანობის დროს, ზურგის ლაშქარში მყოფი მოქალაქეები გაწვეული იქნებიან საზოგადოებასარგებლო სამუშაოებზე (ხე-ტყის დამზადება, დაცურება, ტორ-

ფის დამუშავება, ბრძოლა ეპიდემიებთან, ტყის ხანძარებთან და სხვა სტიქიურ უბედურებასთან და სხვ.) მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელშიდაც მათი ტოლები გაივლიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს, საერთო შეჯამებით არა უმეტეს სამი წლისა.

მათი სამუშაოებებზე გამოყენების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები მოკავშირე რესპუბლიკების შრომის, მიწათმოქმედების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან და სხვა დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

285. ომიანობის დროს ზურგის ლაშქარში მყოფ მოქალაქეებიდან სდგება განსაკუთრებული გუნდები ზურგის და ფრონტის მომსახურებისათვის.

286. თუ ზურგის ლაშქარში მყოფი მოქალაქე არ ყოფილა გაწვეული სამუშაოზე ან არ ყოფილა გაწვეული სამუშაოზე მთელი იმ ვადით, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, იგი დაიბეგრება სპეციალური სამხედრო გადასახადით.

თვითეულ ნახევარ წლისათვის, რაც არ ყოფილა ნამუშევარი საზოგადო-სასარგებლო სამუშაოზე, სპეციალური სამხედრო გადასახადი, გადაიხდება ერთი წლის განმავლობაში.

სპეციალური სამხედრო გადასახადის განაკვეთები და ამ გადასახადით დაბეგრის წესი წესდება სსრ კავშირის

სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

287. სპეციალური სამხედრო გადასახადით შემოსული თანხები გადაეცემა მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს და იხარჯება მარტოოდენ სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის და გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის სკს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი.

სსრ კავშირის ცაკის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი — კრემლი.

1930 წლის 15 აგვისტო.

№ 42/253 ბ.

